პროლეტარებო უფალა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 225 (13041) | პარასკევი, 25 სექტემბერი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

კომკავშირული ბილეთი!

კომკავშირი, კომკავშირული ბილეთი! როცა გესმის ეს ცეცხლოვანი სიტყვები თვალწინ წარმოგიდგებიან პავკა კორჩაგინი, მდინარე ამურზე სუსხსა და ყინვაში ქალაქ კომსომოლსკის მშენებლები, დიადი ხუთწლედების დამკვრელები, სამამულო ომის გმირი ქალიშვილები და ჭაბუკები ლეგენდარული დანკოს გულით, ალექსანდრე მატროსოვი, ზოია კოსმოდემიანსკაია, ზოია რუხაძე, ოლეგ კოშევოი, საშა ჩეკალინი... ომისშემდგომი წლები — უამური მიწების ათვისება, შვიდწლედი, კომუნისტური შრომის ბრიგადები და საბჭოთა კოსმონავტების პირველი ეერიში ზეცაზე. პლუს დიდი ქიმია...

კომკავშირული ბილეთი. პატარა წიგნაკი დიდი ლენინის სილუეტით. ახალგაზრდა ადამიანის რევოლუციური პასპორტი. მას დღეს სიამაყით ატარებს 22 მილიონზე მეტი საბჭოთა ქალიშვილი და ჭაბუკი — მშრომელთა, რომანტიკოსთა, მებრძოლთა ბედნიერი დამამაცი თაობა. კომკავშირული ბილეთი მათთვის მხოლოდ საბუთი როდია, არამედ ეს არის კომუნისტური სიმწიფის, სამშობლოსადმი უსაზღვრო ეთოგულების სიმბოლო, იმ უდიდესი ნდობის სიმბოლო, რომელსაც კომუნისტური პარტია თავისი ისტორიის მთელ მანძილზე იჩენდა და იჩენს ახალგაზრდობისადმი.

და ჩვენი ახალგაზრდობა, მისი მოწიფავე რაზმი — ლენინური კომკავშირი ღირსეულად ამართლებს კოლუნისტური პარტიის ამ მამობრივ ნდობას. როგორც მძლავრ მდინარეს მჩქეფარე შეხაკადი, ასევე ყველგან და ყველაფერში პარტიის დიად საქმეებს ერთვის კომკავშირული შემართება.

ამიტომაც დიდი სიტყვა კომკავშირი. ახალგაზრდა ადამიანისათვის არ არსებობს იმაზე საპატიო ღირსება, ვიდრე ატარებდეს კომკავშირელის სახელს. კომკავშირში ყოფნით ამაყობს ჩვენი ქვეყნის მილიონობით ადამიანი, რომლებიც დღეს პარტიულ ბილეთს ატარებენ. სწორედ კომკავშირმა აამაღლა ისინი პარტიის წევრის დონემდე. დღეს სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის გამოჩენილ მოღვაწეთა შორის აბსოლუტური უმრავლესობა ყოფილი კომკავშირელებია.

კომკავშირში ყოფნა უმნიშვნელოვანესი პერიოდია ახალგაზრდა ადამიანის ცხოვრებაში. იგია ჭაბუკური დუღილის წლების ბრძოლედ და ყალიბი. სწორედ ამ მეუხარე ასაკში შეძენილი თვისებები სიცოცხლის მანძილზე თან გაჰყვება ადამიანს, რომელმაც კომკავშირული ბილეთით გაიარა ცხოვრებისათვის მომზადების დიდი სკოლა და თანამოაზრეთა მჭიდრო კოლექტივში ეზიარა საზოგადოებრივი მუშაობის გამოცდილებას.

კომკავშირში შესვლით ახალგაზრდა ხდება ლენინური კომკავშირის შესანიშნავი ტრადიციების და მის მონაპოვართა მემკვიდრე, ამიტომ აძლევენ მას კომკავშირულ ბილეთს, ე. ი. ისეთ დოკუმენტს, რომლის მფლობელი არა მარტო უბრალო მემკვიდრეა ამ შესანიშნავი ტრადიციებისა და მონაპოვრებისა, არამედ მათი განმგრძობიც. ატარებდე მანდატა, რომლის ფერი რევოლუციური ცეცხლის ფერია და მას კომკავშირული ბილეთი ჰქვია, ეს ნიშნავს დიდ პასუხისმგებლობას კომკავშირისა და ახალგაზრდობის წინაშე.

ახალგაზრდა კომკავშირული ბილეთით — ეს განსახიერებაა მორალური სიწმინდისა, რკინისებური ნებისყოფისა, შეუპოვრად რომ ეუფლება ცოდნას, კულტურას, მეცნიერებას, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებს, არის პატიოსანი და მართალი, გულისხმიერი ღაყურადღებიანი, სამშობლოს თავდადებული პატრიოტი, ორგანიზებული და ინიციატივიანი. ასეთი ახალგაზრდისათვის დამახასიათებელია სიხარულისა და ბედნიერების მხოლოდ ერთი დევიზი — ბრძოლა და პასუხისმგებლობა.

საქართველოს მშრომელები, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია ამაყობენ თავიანთი ჭაბუკებითა და ქალიშვილებით, რომელთა რიგებში ოთხასი ათასზე მეტია კომკავშირული ბილეთით. ენგურჰესის მშენებლობაზე თუ ჩაის კრეფის ფრონტზე, რუსთავის მეტალურგიულ კომბინატში თუ ბარაქიან ზვრებში, ქუთაისის ავტოსამშენებლო ქარხანაში თუ ყინწარის საძოვრებზე, კიბერნეტიკის ინსტიტუტში თუ დედაქალაქის მეტროს მშენებლობაზე — ყველგან, სადაც კი გამრჯე მარჯვენით და ნათელი გონებით წყდება საბჭოთა საქართველოს მეურნეობის, კულტურის ახალი ალმავლობის ბედი, კომუნისტების მხარდამხარ არიან ახალგაზრდები კომკავშირული ბილეთით. მათ შორის არიან მოწინავე მეჩაიეები ნარა გოგაძეკი, დალი წიფლოვაძე, ციალა ეხვაია, ჩვენი სახელოვანი მუშაობა ალსანი წარმომადგენლები თამაზ ვაშაძე და გურამ ჯახუტაშვილი, ცნობილი მესინმინდე ანზორ ბურჭულაძე, მეცნიერი მუშაკები ოთარ კუპატაძე და ზაზა აბზიანიძე...

მოწინავე ახალგაზრდებით სისტემატურად იზრდება საქართველოს კომკავშირის რიგები. მაგრამ ეს უბრალო რიცხობრივი ზრდა როდია, ეს უპირველეს ყოვლისა არის რესპუბლიკის ახალგაზრდობის ავანგარდის თვისებრივი ზრდა, მრავალათასიან არაკომკავშირელ ახალგაზრდობაზე კომკავშირული ორგანიზაციების გავლენის ზრდა.

მაგრამ უდავოდ შეცდომა იქნება ვიფიქროთ, რომ უკლებლივ ყველა კომკავშირული უფრთხილდება კომკავშირის სახელს და კომკავშირულ ბილეთს. რა თქმა უნდა, არა. არიან ისეთებიც, რომლებიც თავიანთი მოქმედებით ჩრდილს აყენებენ კომკავშირულ ბილეთს. ამ ცოტა ხნის წინათ კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის კალინინის რაიკომმა კომკავშირიდან გარიცხა ჯ. ტაბატაძე ბანდიტური მოქმედებისათვის, ხოლო ციროვის რაიკომმა ზ. კიკვაძე — ქურდობისათვის.

ცხადია, ასეთი ახალგაზრდების კომკავშირში ყოფნა-არყოფნაზე ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს. გადაწყვეტილება სწორია. მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტად რჩება, რომ შესაბამის კომკავშირულ ორგანიზაციებს სათანადო აღმზრდელობითი მუშაობა არ უწარმოებიათ. ეს იმაზეც მეტყველებს, რომ ხუსტი იყო კომკავშირული მუშაობისადმი პირველადი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობის ავანგარდი თვისებისა და ბრძოლის ფერი ამურ-ყინწარის ბრიგადისა და ხელმძღვანელობა.

კომკავშირულმა ცხოვრებამ არაერთხელ დაამტკიცა, რომ პასიურობა აზე, ცალკეული კომკავშირელების უხამს მოქმედებასთან ყოველთვის საქმე გვაქვს სუსტ ორგანიზაციებში, სადაც დაბალია პარტიული ხელმძღვანელობის დონე, სადაც ქმედითობის ნაცვლად ჰყვავის მოჩვენებითობა, სადაც კომკავშირული ორგანიზაციების მდივნები რევოლუციონერები კი არა, ნამდვილად რეზოლუციონერები, ახალგაზრდა პორტფელოსნები არიან, რომლებიც აიგივებენ „ალზრდისა“ და „ძიძაობის“ გაგებას.

პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით კომკავშირული ორგანიზაციები სისტემატურად უნდა აუმჯობესებდნენ თავიანთ მუშაობას, ეძებდნენ ახალგაზრდობაზე ზეგავლენის ახალ-ახალ ფორმებსა და მეთოდებს, უფრო გაბედულად უკუაგდებდნენ შაბლონს, დამყაყებულობას, მოჩვენებითობას. ახალგაზრდობასთან მუშაობა უნდა იყოს მკაფიო, რომანტიკული, კონკრეტული და მიზანსწრაფული. უნდა გვახსოვდეს — მუშაობის ახალი ფორმა მხოლოდ მაშინ არის კარგი, როცა იგი ნაკარნახევია ცხოვრებით და ორგანულად ერწყმის მას. ცუდია, როცა ზოგან ცოცხალ ადამიანებთან ცოცხალი მუშაობა ძნირება სასხდომთ ხმაურში, ქალალდების კორიანტელში, „გაძლიერდეს“, „გაღრმავდეს“, „უფრო ფართოდ გაიშალოს“ ტიპის ზოგად ღონისძიებებში.

კომკავშირული ბილეთი მოგვიწოდებს დავძლიოთ, დავამსხვრიოთ ეგოიზმი და კერძო მესაკუთრის ანარქიზმი, ობივატელის ეგოცენტრიზმი, წამგლეჯთა. შემგუებელთა, კარიერისტთა მზაკვრობა და გაქნილობა, ფარისეველთა და სკეპტიკოსთა ჩლუნგობა და უმსგავსობა. კომკავშირულმა პროექტორმა უნდა გაანათოს ჩვენი ცხოვრების ყოველი კუთხე და ყველას დასანახავად ამხილოს მანკიერებანი. პარტიული ორგანიზაციები, კონტროლის ორგანოები კი მოვალენი არიან მეტი ყურადღებით მოეკიდონ კომკავშირელების საგნალებსა და შენიშვნებს.

ახლა კომკავშირულ ორგანიზაციებში მიმდინარეობს საანგარიშო-საარჩევნო კრებები. სპეციალურ პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, პარტიულმა კომიტეტებმა სათანადო დახმარება და ხელმძღვანელობა გაუწიონ კომკავშირულ ორგანიზაციებს კომკავშირული კრებების მაღალ პოლიტიკურ დონეზე ჩატარებაში. გავამახვილოთ კომკავშირელთა ყურადღება საწესდებო მოვალეობათა შესრულებისადმი, მივაღწიოთ შინაკომკავშირული და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ახალ აღმავლობას.

უნდა შევაგნებინოთ თვითეულ ახალგაზრდას, რომ ადამიანი კომკავშირული ბილეთით ეს არის ისტორიაში არნახული მშენებლობის მონაწილე, სხვებთან ერთად იგი აშენებს სრულიად ახალი ფორმაციის, სრულიად ახალი იდეოლოგიის, მსოფლმხედველობის საზოგადოებას — კომუნიზმს.

უდიდესი ღირსებაა გულთან ატარებდე მსოფლიოს სიჭაბუკის რევოლუციურ მანდატს, კომკავშირულ ბილეთს. ამიტომაც კომკავშირული ბილეთი, როგორც სინდისი შეუბღალავი და კრისტალივით სუფთა უნდა იყოს.

რა საჩუქრებით შეხვდებით დიდ ოქტომბერს?

საოქტომბრო ვახტზე

ოქტომბრის ანგარიში

ჰიათურა. (საკ. კორ.). მაღალნაყოფიერად და რენტაბელურად მუშაობს ცენტრალური დამყვანი ფაბრიკის კოლექტივი, რომელსაც საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი გ. ასათიანი უძღვება. მან ვადამდე შეასრულა ცხრა თვის დავალება და ოქტომბრის ანგარიშში 20.000 ტონაზე მეტი მარგანეცი დაამზადა. თვითღირებულების შემცირებით უკანასკნელ ხუთ თვეში დაზოგა 71.100 მანეთი, შრომის ნაყოფიერება გაადიდა 11 პროცენტით.

წარმატებით შრომობენ ცალები ზ. გამყრელიძის, ნათელა ნეფარიძის და ს. სამხარაძის ხელმძღვანელობით. აღსანიშნავია, რომ ფაბრიკა ძირითადად ახალგაზრდულია. აქ ყოველი მეოთხე კაცი სწავლობს. კარგად მუშაობენ პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები როზა გეგია, ნინელ კეჩეჩიდი, ნუგზარ ჭანკვეტაძე, როლანდ გოცაძე და სხვები.

ფაბრიკის გამართულ მუშაობას ხელს უწყობენ რაციონალიზატორები. მათ შვიდწლედის რესაუბლიკურ ფონდში წელს 64.528 მანეთი შეიტანეს. საუცხოო წინადადებების აეტორები არიან ა. გაბეჩავა, შ. კვიტანაძე, ნ. მერმანიშვილი და სხვები.

ფაბრიკის კოლექტივი იბრძვის წლიური გეგმის 7 ნოემბრისათვის შეასრულებლად. იგი სოციალისტური შეჯიბრების სათავეშია.

ჩაარი ტემპით

თეთრი წყაროს საწარმოო სამმართველოს სოფელ ასურეთის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე **ვ. ჩომახაშვილი**) გონივრულად იყენებენ სიმინდის ასაღებ კომბაინს. შ. კანკავაშვილი და ვ. გურგენიძე კომბაინით დღეში ეკვლიდენ ჰექტარზე იღებენ სიმინდის მოსავალს, საშუალოდ ჰექტარზე 35 ცენტნერ მარცვალს. მარტო ერთი კომბაინით ასრულებენ 80 კაცის მოვალეობას.

სიმინდის მოსავალს სწრაფად და უდანაკარგოდ იღებენ ბორბალოს კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე **ვლ. ელიზბარაშვილი**), აქ წელს კარგად გამოიყენეს სასუქები. შედეგიც შესანიშნავია. საშუალოდ ჰექტარზე 30 ცენტნერამდე სიმინდს იღებენ. სიმინდის მოსავალს სწრაფად იღებენ **კოდის, წინწყაროს** და სხვა სოფლების კოლმეურნეობებში.

დავალება ვადამდე!

ტყიბულ-ქვანახშირის ტრესტის ორჯონიკიძის სახელობის შახტის კოლექტივი კომუნისტური შრომის საპატიო სახელის მოპოვებისათვის იბრძვის. მან ვადაზე 27 დღით ადრე უპატაკა სამშობლოს ქვანახშირის ამოღების ცხრა თვის გეგმის შესრულება. შრომის სწორი ორგანიზაციის, რაციონალიზატორული წინადადებებისა და მექანიზაციის დანერგვით მეშახტეთა შრომის ნაყოფიერება საშუალოდ 12 პროცენტით გაიზარდა. დაზოგილია 60 ათასზე მეტი მანეთი.

წელს შახტის რამდენიმე მომხვეტი კონვეიერი გადაყვანილ იქნა დისტანციურ ავტომატურ მართვაზე. ამან 20-ზე მეტი მუშის შრომა შეეცალა. განხორციელდა მიწისქვეშა წყალქცევის ამოტუმბვის მთლიანი მექანიზაცია, ჭამწვევში — ვაგონების შეგორების ავტომატიზაცია.

დონეცის აუზის მეშახტეთა მაგალითისამებრ შახტის ყველა საექსპლოატაციო უბანი სადღეღამისო კომპლექსური ბრიგადული სისტემით მუშაობაზე გადავიდა. შ. დაღუნდარიძის ბრიგადამ უკვე დეკემბრის საწარმოო ახგარიში გასწია. ასევე წარმატებით მუშაობენ ნ. თევდორაძისა და შ. კვირიკეიშვილის ბრიგადები.

შახტში ჩაღდება საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება. მეშახტეებმა იკისრეს 7 ნოემბრისათვის გეგმის გადამეტებით ამოიღონ 45 ეშელონი ქვანახშირი.

ს. მთაგორიძე.

უპატაკებენ სამშობლოს

△ **დიდი** ოქტომბრის 47-ე წლისთავს წარმატებით ხვდებიან **ოჩამჩირელი** მეაბრეშუმეები, — გვაცხობინებს რაიაბრეშუმის კანტორის გამგე ამხ. **ზენაიშვილი,** — რაიონში 20 სექტემბრისათვის სახელმწიფოს მიეყიდა 742 ცენტნერი აბრეშუმის პარკი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 740 ცენტნერისა.

△ **ამბროლაურის** საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი ამხ. **ბიბილაშვილი** და სამმართველოს უფროსი ამხ. **მინდელი** გვატყობინებენ, რომ რაიონმა 21 სექტემბრისათვის 100,2 პროცენტით შეასრულა სახელმწიფოსათვის აბრეშუმის პარკის მიყიდვის წლიური გეგმა.

დაზოგილი მანეთები

ფინასოოქტომბერო. შრომითს ვახტზე მყოფმა ფოთის ნავსადგურის პირველი საწარმოო რაიონის კოლექტივმა ამ დღეებში შესანიშნავი წარმატება მოიპოვა. საოკეანო გემ „დებოსარის“ ეკიპაჟმა ხელიდან რადიოგრამით კომპლექსურ შეჯიბრებაში გამოიწვია ნავსადგურელები და რკინიგზელები.

ფოთელებმა გამორკვევა ერთსულოვნად მიიღეს და 42 საათით ადრე განტვირთეს გემი „ბაქრის ლერწმისაგან“. ამით სამშობლოს დაეზოგა 13 ათასი მანეთი. ბალალნაყოფიერი შრომით თავი ისახელეს მ. შამფორიას, ტ. პირტახიას მტვირთავთა ბრიგადების წევრებმა, მეამწეებმა ი. მერკოესკიმ, ს. გვაზავამ, ლ. ჩხეტიამ, სამუშაოთა მწარმოებლებმა ი. ალექსანდრიამ, მ. ბოიკომ, ნ. ჯანტურიამ და სხვებმა.

გემის ეკიპაჟმა მხურვალე მადლობა გადაუხადა ნავსადგურელებსა და რკინიგზელებს ასეთი მამაცური შრომისათვის და კურსი კვლავ შორეული ქვეყნებისაკენ აიღო.

ჯ. კომახიძე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წარმომადგენლები ბერლინს გაემგზავრნენ

მოსკოვი. (საკდისი). მოსკოვიდან პირველი ინტერნაციონალის ასი წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაში მონაწილეობის მისაღებად, რომელსაც მართავს ეფრანელი „პრობლემი მირა ი სოციალიზმა“, ბერლინს გაემგზავრნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წარმომადგენლები: სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ვ. ანდროპოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დირექტორი პ. ნ. პოსპელოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, ეფრანულ „კომუნისტის“ მთავარი რედაქტორი ვ. პ. სტეპანოვი, ეფრანულ „ეკონომიკა ისტორია კასს“ მთავარი რედაქტორი ა. პ. ბოსულნიკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების პასუხისმგებელი მუშაკი ა. ე. ბოვინი.

დამთავრდა ახალგაზრდობის მსოფლიო ფორუმი

მოსკოვი. 24 სექტემბერი. (საკდისი). დღეს როცა მილეგულ იქნა დეკლარაცია ყველა ქვეყნის ახალგაზრდობისა და მაბუკეგინსადმი, მუშაობა დასამთავრა ეროვნული დამოუკიდებლობისა და განთავისუფლებისათვის, მშვიდობისათვის ბრძოლაში ახალგაზრდობისა და მშვიდობისათვის ბრძოლაში ახალგაზრდობისა და სტუდენტთა სოლიდარობის მსოფლიო ფორუმმა.

ფორუმი 9 დღეს გრძელდებოდა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიებში

1964 წლის 24 სექტემბერს გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიების გაერთიანებული სხდომა. სხდომას დაესწრნენ კომისიათა თავმჯდომარეები დეპუტატები ბ. ა. სუსლოვი და ბ. ნ. პონომარიოვი.

მ. ა. სუსლოვის თავმჯდომარეობით კომისიებმა განიხილეს წინადადება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ, რომელიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ შეიტანა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის განსახილველად.

ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ვ. ვ. კუზნეცოვმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიებმა განიხილეს შემდეგ ერთსულოვნად მოწონეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ.

ავამაღლოთ მრეწველობის პროდუქციის ხარისხი

პარტიულ-სამეურნეო აქტივის რესპუბლიკური კრება

24 სექტემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა მრეწველობის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისადმი მიძღვნილი პარტიულ-სამეურნეო აქტივის რესპუბლიკური კრება.

კრების პრეზიდიუმში არიან ამხანაგები ბ. ა. **ბეგეშვილი,** ო. დ. **ბოცირიძე,** ბ. ა. **როდიონოვი,** ბ. ი. **ჩოგოვაძე,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ამხანაგები ა. მ. **ლაბახუა,** ვ. მ. **სირაძე,** ზ. ბ. **გელდიაშვილი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი ვ. ვ. **ვასილიევი,** რესპუბლიკის მინისტრები, ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკები, წარმოების მოწინავეები.

კრება გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ბ. ა. **როდიონოვმა.**

მოხსენება — „საქართველოს პარტიული ორგანიზაციების მუშაობა მრეწველობის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის“ — გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის ბიუროს თავმჯდომარემ ბ. ა. **ბეგეშვილმა.**

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს: საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარემ ნ. **ბოგველაურმა,** საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მეორე მდივანმა ო. **ლოლაშვილმა,** ქუთაისის საავტომობილო ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა ი. **ხაზარაძემ,** რესპუბლიკის ვაჭრობის მინისტრმა ვ. **თოხაძემ,** პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ი. **ჰანბამ,** თბილისის ფეხსაცმლის ხაჭარმოო გაერთიანება „ისნის“ დირექტორმა მ. **ჩხეიძემ,** პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანმა ლ. **შალვაძემ,** საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა ვ. **ლოლობერიძემ,** თბილისის ფოლად-თუჯ-სამსხმელო ქარხნის პარტკომის მდივანმა რ. **ჭოხონელიძემ,** თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის დირექტორმა ნ. **კიზიმაძემ,** მაუდ-კამვოლის კომბინატ — „საბჭოთა საქართველოს“ ტექნიკური კონტროლის უფროსმა ვ. **ჩხეტიამ,** პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ს. **სიხარულიძემ** და სხვებმა.

კრების მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელიც მიზნად ისახავს მკვეთრად გაუმჯობესდეს მრეწველობის პროდუქციის ხარისხი, რათა დაკმაყოფილდეს მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის სულ უფრო მზარდი მოთხოვნილებანი.

კრების ვრცელი ანგარიში გამოქვეყნდება გაზეთის უახლოეს ნომერში.

საკდესის ცნობა

მიფრინავს „კოსმოსი-46“

1964 წლის 24 სექტემბერს საბჭოთა კავშირში განხორციელდა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის „კოსმოსი-46“ მორიგი გაშვება. თანამგზავრზე დადგმულია სამეცნიერო აპარატურა, რაც განკუთვნილია იმისათვის, რომ განაგრძოს კოსმოსური სივრცის კვლევა იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საკდესმა გამოაცხადა 1962 წლის 16 მარტს.

თანამგზავრი გაყვანილია ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია: — მიმოქცევის დაწყებითი პერიოდი — 89,2 წუთი; — მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 271 კილომეტრი; — მინიმალური მანძილი (პერიგეა) — 215 კილომეტრი; — ორბიტის დახრილობის კუთხე ეკვატორის სიბრტყის მიმართ — 51 გრადუსი და 18 მინუტი.

გარდა სამეცნიერო აპარატურისა, თანამგზავრზე არის: — რადიოგადამცემი, რომელიც მუშაობს 19,995 მეგაჰერცის სიხშირით; — რადიოსისტემა ორბიტის ელემენტების ზუსტი გაზომვისათვის; — რადიოტელემეტრიული სისტემა, რომელიც დედამიწაზე გადმოსცემს მონაცემებს ხელსაწყოებისა და სამეცნიერო აპარატურის მუშაობის შესახებ.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს.

საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი აწარმოებს მიღებული ინფორმაციის დამუშავებას.

დარბაზობა ბერლინში

ბერლინი, 24 სექტემბერი. (საკდისი). გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ და მინისტრთა საბჭომ გუშინ საღამოს გამართეს დარბაზობა უცხოეთის დელეგაციების პატივსაცემად, რომლებიც ოტო გროტეოლის დაკრძალვაზე ჩამოვიდნენ. დარბაზობაზე იყვნენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ვ. ულბრიხტი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის კოლეგი მოადგილე ვ. შტოფი და გერმახიის დემოკრატიული რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელი მოღვაწეები. დარბაზობაზე იყო სსრ კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ლ. ს. პოლიანსკი.

ახალგაზრდული შემართებით

ფაბრიკებში, ქარხნებში, მინდვრებსა და პლანტაციებში ახალგაზრდული მგზნებარებით, საქმის ცოდნით გამოირჩევიან ლენინური კომკავშირის აღზრდილები — გოგონები და ჭაბუკები. და ეს ახალგაზრდებიც, ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა რომ გადაიღო, თბილისის აბრეშუმსაქსოი ფაბრიკის მოწინავე კომკავშირელი მუშები არიან: ნ. ოქრომჭედლიშვილი (მარცხნიდან), ნ. ფარსადანოვა, ბ. ჭიჭინაძე, ზ. კერესელიძე, ე. ჯანიაშვილი, ც. გურგენიძე და ე. ზირაქიშვილი, რომლებიც ყოველდღიურ საწარმოო ნორმას დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.

ფოტო **შ. ჩხეტიანისა.**

ვილი შტოფი

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეა

ბერლინი, 24 სექტემბერი. (საკდისი). დღეს **ბერლინში გაიმართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის სხდომა, რომელზეც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დამტკიცებულია ვილი შტოფი.**

ვილი შტოფი

გიოგრაფიული ცნობა

ვილი შტოფი დაიბადა 1914 წლის 9 ივლისს ბერლინში, მუშის ოჯახში. სახალხო სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა კალატოზად, ტექნიკოსმშენებლად, 1928 წელს შევიდა გერმანიის ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირში, 1931 წელს — გერმანიის კომუნისტურ პარტიაში. ხელისუფლების სათავეში ფაშისტების ჩადგომის შემდეგ მონაწილეობას იღებდა არალეგალურ ანტიფაშისტურ საქმიანობაში.

1945 წლიდან ვილი შტოფი მუშაობდა ხელმძღვანელ პოსტებზე საშენი მასალების მრეწველობის დარგში, შემდეგ იგი მეთაურობდა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის გამგეობის ეკონომიურ განყოფილებას.

1950 წელს ვ. შტოფი არჩეულ იქნა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად, მუშაობდა ცენტრალური კომიტეტის სამდივნოში; 1953 წლიდან გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრია.

1950 წლიდან ირჩევენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის დეპუტატად.

1952 წელს ვ. შტოფი დაინიშნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრად; 1954 წელს — მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, 1956 წელს — ეროვნული თავდაცვის მინისტრად.

1962 წლის ივნისიდან შტოფი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეა.

ამერიკელი დიპლომატები დაგნეული არიან

პრაღა, 24 სექტემბერი. (საკდისი). ცნობამ, რომ აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის კონგოს ეროვნული შერიგების სპეციალური კომისიის დელეგაცია მიემგზავრება ვაშინგტონში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ჯონსონთან შესასვლელად, რომელიც მოსთხოვს ამერიკის ინტერვენციის შეწყვეტას კონგოში, პანიკა გამოიწვია ამერიკის შეერთებული შტატების კენიის საელჩოში. ამას იუწყება ნაირობიდან ჩეხოსლოვაკიის დეკანოზთა საგენტოს კორესპონდენტი.

როგორც ინფორმირებულ წრეებში განაცხადეს, ამერიკის საელჩოს თანამშრომლები 22 სექტემბრის თითქმის მთელი დღის განმავლობაში ცდილობდნენ მიეღოთ სპეციალური კომისიის სამდივნოსაგან და კენიის ოფიციალურ ორგანოებში უფრო დაწვრილებითი ცნობები, რომლებიც დაკავშირებულია დელეგაციის გაგზავნასთან ამერიკის შეერთებულ შტატებში.

თუმცა კომისიასთან ახლომდგომ წრეებში ამერიკელებს ბევრი ინფორმატორი ყავდათ, მაგრამ მათ ვერ შეძლეს მიეღოთ წინასწარი ცნობები სხდომათა მიმდინარეობის შესახებ, აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის სპეციალური კომისიის თავმჯდომარის კენის პრემიერ-მინისტრის ჯომო კენიატას განცხადება დელეგაციის გაგზავნის შესახებ ამერიკის შეერთებულ შტატებში მეზივით დაეცა თავს ამერიკის შეერთებული შტატების ნაირობის საელჩოს.

ის ფაქტი, რომ კომისიამ ესოდენ ბევრი დრო დუთმო ჩომბეს „მოსმენას“, შესაძლოა დადასტურება იყო იმისა, რომ მდგომარეობა კარგად ვითარდებოდა ჩომბესათვის, და მაშასადამე ამერიკის შეერთებული შტატებისათვის. ნაირობიში ბევრს ლაპარაკობენ მჭიდრო კონტაქტზე, რომელიც ჩომბეს დელეგაციას ჰქონდა დამყარებული ამერიკის ნაირობის საელჩოსთან.

წრეებში, რომლებიც ახლოს არიან აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის სპეციალურ კომისიასთან, იუწყება შემდეგ ჩეხოსლოვაკიის დეკანოზთა საგენტოს კორესპონდენტი, ნაზგასმით აღნიშნავენ, რომ აფრიკის ქვეყნების წარმომადგენლებმა კომისიაში გადაწყვიტეს ამხილონ ჩომბე, მიიმწყვდიონ ჩიხში და გუსწორდნენ მას. სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა განვსაჯოთ კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ამერიკის შეერთებულ შტატებში გაგზავნოს დელეგაცია, რომელიც მოითხოვს კონგოსათვის იარაღის მიწოდების შეწყვეტას.

ჩომბეს კეთილი ძიები

ნიუ-იორკი. 24 სექტემბერი. (საკდისი). შეერთებულმა შტატებმა აცნობეს აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციას, რომ არ მიიღებენ მის მიერ



მორალური სტიმულის ცხოველმყოფელი ძალა

პრაქტიკით შემოწმებულია, დანერგეთ მუშაობაში!

ოზორც „კომუნისტის“ მკითხველებმა იცით, ამას წინათ ლენინგრადში იმყოფებოდა საქართველოს პარტიულ მუშაკთა ჯგუფი იდეოლოგიური მუშაობის გამოცდილების შესასწავლად. ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების გამგის მოადგილე შ. მახარაძე, პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი პ. თოდუაი, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ლექტორთა ჯგუფის ხელმძღვანელი მ. ხვაროვია, ჟურნალ „საქართველოს აგიტატორის“ რედაქტორი დ. კაკაბაძე, პარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის იდეოლოგიური განყოფილების გამგე ვ. შერაძე, პარტიის ქუთაისის ქალაქკომის პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამგე ბ. შრეშიძე, ქობულეთის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილე ლ. რუხაძე, ახალქალაქის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილე შ. ლაზარაშვილი, ფოთის ნავსადგურის პარტიული კომიტეტის მდივანი მ. ჯაბუა. ჯგუფთან ერთად იყვნენ „კომუნისტისა“ და „ზარი ვოსტოკას“ სპეციალური კორესპონდენტები.

დღეს გბეჭდავთ სტატიას შრომის მორალურ სტიმულზე, რაც ამჟამად ლენინგრადის პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში დგას.

◇ ◇

„თორმეტი მზის ქალაქად გადავაქცეოთ ლენინგრადი!“ — ასეთი ხატოვანი ლოზუნგით იბრძვიან ლენინგრადელები კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსის ცხოვრებაში ხორცშესხმისათვის.

კოდექსის თორმეტი მუხლი — თორმეტი მზე!.. მათი ლოზუნგი გამომდინარეობს იმის ღრმა შეგნებიდან, რომ თანამედროვეობის კომუნისტურ მანიფესტში — სკკპ პროგრამაში ნათლად არის დაყენებული კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისა და კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის ფორმირების პროცესში ახალი ადამიანის აღზრდის პრობლემა.

შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება — ეს არის სასინჯი ქვა, ის ნაცადი კრიტერიუმი, რომლითაც იზომება ყოველი კომუნისტის პოლიტიკური სიმწიფე და მორალური სისპეტაკე.

ადამიანი — ეს ამაყად ყღერის!.. ადამიანის სიდიადის ამ გორკისეული გაგების სიმაღლეებიდან უდგებიან ლენინგრადში იდეოლოგიური მუშაკები ახალი ადამიანის აღზრდას.

დიდი რევოლუციური და შრომითი ტრადიციების მქონე ქალაქის კომუნისტებმა ადამიანებთან პარტიული მუშაობის ახალი ფორმებითა და მეთოდებით გააშდიდრეს იდეოლოგიური მუშაობის არსენალი. ისინი ოსტატურად უხამებენ ერთმანეთს შრომის მატერიალურ და მორალურ სტიმულებს.

ამჟამად ლენინის ქალაქში პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრშია სოციალისტური შრომის გმირის, ბალტიის ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის ზეინკლის ალექსი ჩუვეის სტატია „მორალური სტიმული შრომაში“. ავტორი ამ სტატიაში ილაშქრებს ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის წინააღმდეგ შრომის მორალური სტიმულირების საკითხში. აყენებს მთელ რიგ საკითხებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ მორალური სტიმულის გაძლიერებას, თვალსაჩინო აგიტაციის უკეთ დაყენებას, იდეოლოგიური მუშაობის მთელი არსენალის სრულფასოვნად გამოყენებას, ახალი საბჭოთა ადამიანის და რიტუალების შექმნას, ახალგაზრდობის აღზრდას რევოლუციურ და შრომითს ტრადიციებზე.

კომუნისტური შრომის კოლექტივისა და დამკვრელის საპატიო წოდების მინიჭება უდავოდ დიდი სტიმულია. ლენინგრადში ასეთან ფრთხილად უდგებიან ამ საპატიო ტიტულების მინიჭებას. მთელ ლენინგრადში მხოლოდ 2 მსხვილი საწარმო ატარებს კომუნისტური შრომის კოლექტივის საპატიო სახელს.

მრავლისმეტყველი ფაქტია.

ამ შემთხვევაში არ შეიძლება არ გაგახსენდეთ ლენინის ცნობილი ფრაზა: „**ᲣᲛᲐᲯᲝᲑᲘᲡᲘᲐ ᲪᲝᲢᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲠᲒᲘ!..**“ ლენინგრადში სავსებით სწორად დიდ ყურადღებას უთმობენ ახალი საბჭოთა რიტუალების შემუშავებასა და დანერგვას. აქტს ეძლევა დიდი საზოგადოებრივი რეზონანსი, იქმნება საზოგადოებრივი აზრი. კომუნისტური შრომის ბრიგადისა და დამკვრელის წოდების მინიჭება იქცევა მთელი საწარმოს ან ბრიგადის ზეიმად. იმართება მიტინგი, სადაც გადასცემენ კომუნისტური შრომის დამკვრელობის სამკერდე ნიშნებს, სიგელებს, აწყობენ სპეციალურ ადგილობრივ რადიოგადაცემებს, მრავალტირაჟიან გაზეთში ფართოდ შუქდება მასალები ამ საკითხზე, იმართება მხატვრული თვითმოქმედების კონცერტები. ამ დღეს ქარხნის საუკეთესო ადამიანებს საზეიმოდ გამოაქვთ ქარხნის დროშა.

კიროვის ქარხნის სკკერში მოწყობილია „ᲗᲛᲘᲡᲗᲐ ᲒᲐᲚᲔᲠᲘᲐ“. აქ ნახავთ მოწინავეთა, ნოვატორთა, რაციონალიზატორთა დიდ პორტრეტებს სათანადო წარწერით. გალერეა მოწყობილია ქალაქის ფოტომხატვართა ძალებით. ხშირად ასეთი გალერეების გაფორმებაში მონაწილეობენ ლენინგრადის პოლიტიკური განათლების სახლთან არსებული მხატვარ-გამფორმებელთა ორწლიანი სკოლის მოსწავლეები, მხატვართა კავშირის ლენინგრადის განყოფილების ან უურნალისტთა კავშირის ფოტოსექციის მუშაკები. ქარხნებსა და კოლმეურნეობებს კავშირი აქვთ კომპოზიტორებთანაც, რომლებიც ქმნიან სიმღერებს მოწინავე მუშებზე. ამ სიმღერებს თვითმოქმედი კოლექტივები ასრულებენ. ეს უდავოდ დიდი მორალური სტიმულია.

ლენინგრადის სკკერებში, ჟურნალებში, პარკებში ნახავთ რაიონულ, საქალაქო საპატიო დაფებს, რომლებიც მხატვრული გაფორმებით ეროწყმიან ქალაქის არქიტექტურულ ანსამბლს. საპატიო დაფებზე და გზირთა გალერეაში სურათების მოთავსება ხდება სათანადო პარტიული კომიტეტის ბიუროს დადგენილებით. წიგნში „შრომითი დიდება“, საპატიო დაფაზე ან გალერეაში კანდიდატურათა შეტანა წარმოებს საზეიმოდ. შემუშავებულია სათანადო რიტუალი: მიტინგი, მილოცვა, ვალდებულების აღება, მუსიკა, სამახსოვრო საჩუქრები, ვეტერანების გამოსვლა, სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული დროშის გამოტანა და ა. შ.

ლენინგრადში დიდ ყურადღებას აქცევენ რიტუალს „მისი აღმატებულობის — მუშათა კლასის რიგებში მიღებას“. ცდილობენ, რომ ეს იყოს დაუვიწყარი დღე ახალგაზრდის ცხოვრებაში. საამქროში საზეიმოდ იკრიბებიან მეგობრები. იწვევენ რევოლუციისა და შრომის ვეტერანებს, რომლებიც მოუთხრობენ ახალგაზრდებს საწარმოს შრომითს ტრადიციებზე, ულოცავენ მათ საბჭოთა მუშის გზის დაწყებას. ამ ზეიმებს თან ახლავს მუსიკა, ყვავილები, სუვენირები. დაახლოებით ამგვარად ეწყობა „პირველი ხელფასის დღესასწაული“, „საბჭოთა პასპორტის მიღების დღე“, „ოსტატის დღე“, „არმიაში გაცილების დღე“, „ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚᲘ ᲥᲝᲠᲬᲘᲚᲘ“, „ახალი ოჯახის შექმნის მილოცვა საამქროში“.

ლენინგრადის საწარმოებში ახლა ზეიმობენ ასეთ დღესასწაულებს: „ზეგეგმიოთ პროდუქციის გამოშვების დღე“, „რაციონალიზატორული ნინადადების დანერგვის დღესასწაული“, „ახალი ტექნიკის ათვისების დღე“, „ახალბედა მუშის პირველი გამარჯვების დღე“ და ა. შ. ასეთ შემთხვევებში საზეიმოდ კითხულობენ საწარმოს ხელმძღვანელის ბრძანებას, მიულოცავენ გამარჯვებულებს, უშვებენ „ელვა გაზეთებს“, ეწყობა ადგილობრივი რადიოგადაცემები და რადიოკონცერტები გამარჯვებულთა დაკვეთით და ა. შ. მთავარია ასეთ მოვლენათა აღნიშვნის იდეა, ხოლო აღნიშვნის რიტუალი სხვადასხვა საწარმოში დამოკიდებულია იქ მომუშავე ადამიანთა ფანტაზიაზე. სრულყოფას ზღვარი არა აქვს.

ლენინგრადში დევიზით „გავუფრთხილდეთ ჩვენი მარკის ღირსებას, ჩვენს სახელს“ ინერგება ასეთი სიახლე: მაღაზიაში, სადაც იყიდება ამა თუ იმ ქარხნის ნაწარმი, გაკეთდება სპეციალური დაფა, რომელზეც აღნიშნული იქნება ნაწარმის დამპროექტებელთა და შემსრულებელთა გვარები. თუ კარგი ნაწარმია გამოშვებული, დაე მთელმა ქალაქმა აქოს, თუ წუნი გაკეთდა, დაე მთელმა ქალაქმა შერცხოს მათი სახელი.

ბალტიის ქარხნის პარტკომმა კარგი ტრადიცია დაამკვიდრა. ყოველ ახალ გემს, რომელიც ქარხანაში აშენდება, აქვს მუდმივი საპატიო დაფა, სადაც პარტკომის დადგენილებით სამუდამოდ



ᲬᲜᲐᲣᲠᲘᲡ საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივნის კანონიერიდან ის იყო გამოსვლას ვაპირებდით, რომ ოთახის კარი თმაშეეერცხლილმა კაცმა შემოაღო და მოღიმარი სახით გულთბილად მიესალმა აქ მყოფთ.

პარტიული კომიტეტის მდივანი გრიგოლ თადტაევი, მდივნის მოადგილე ოთარ ბეგიაშვილი, ინსტრუქტორი სერგო ოსიტაშვილი, რომელიც სსსრაფო საკითხს განიხილავდნენ, ფიცხლად წამოდგნენ, შეეგებნენ შემოსულს. ერთი ათთგანი ცხობილმოყვარეობით შეეკითხა:

— როგორა ხართ, ჩვენი მასწავლებელო, ხომ არაფერი გიჭირთ?

—აბა რა უნდა გამიჭირდეს... შემოვიარე, გხასეთ. გული არ მომითმენს ხოლმე, არ მოგინახულოთ ათასში ერთხელ მაინც... წინათ ყველას ყოველდღე ვხედავდთ, კლასში რომ ქუთნალით ხელში შემოვდიოდი და მტრედებივით ამიფრინდებოდ ი თ...

— და მოპყავ ეს სათნო კაცი იმ დროის ამბებს, როცა ეს ეკაკაცები მისი მოწაფეები იყვნენ...

ჩვენ დავინტერესდით ამ კაცის

ოლეკ-ᲬᲘᲗ.

ᲐᲛᲐᲒᲓᲐᲠᲘ

— ვლადიმერ ციკოლია, ბეხუს-ძე! — ასე გაგვაცნეს ის კაცი.

მრავალმხრივი, მრავალფეროვანი აღმორნდა ვლადიმერ ციკოლიას შრომითი საქმიანობა. მან ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ, 1925 წელს დაიწყო მასწავლებლობა, მაგრამ სწავლის წყურვილი არ ასვენებდა. მალე შევიდა და 1933 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იგი მუშაობდა ჯერ გალის რაიონის სოფელ რეჩხოცირის არსრული საშუალო სკოლის დირექტორად, მერე სამხრეთ ოსეთში გადავიდა, ზნაურში მასწავლებლობდა. მალე თბილისში გადაიყვანეს — მუშა-ახალგაზრდობის № 9 სკოლის მასწავლებელი იყო, ხოლო 1946 წელს კვლავ ზნაურს უბრუნდება და დღემდე დაუფალავად მოღვაწეობს პედაგოგიურ ასპარეზზე—არის მასწავლებელი და რაიონის სახალხო განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი.

სახალხო განათლების დარგში თითქმის 40 წელიწადი მუშაობა იოლი არ არის, მაგრამ ვ. ციკოლიამ მონდომებული, უნარიანი შრომით მალე გათქვა სახელი.

მისი სამუშაო დღე მზის ამოსვლასთან ერთად იწყება, ყოველთვის სკოლისაკენ არის მიპყრობილი მისი სული და გული. ყოველ დილით, დარსა თუ ავდარში, ვაქკაცურად მიაბიჯებს იგი სკოლებისაკენ და სათანადო რჩევა-დარიგებით, დახმარებით რაზმიას პედაგოგებს ბავშვთა აღზრდის საქმეში.

მასწავლებლებიც უჯერებენ გულისხმიერებად, აგრონომებად, მასწავლებლებად, ექიმებად, ... მუშაობენ პარტიულ, საბჭოთა აპარატებში. მათი ჩამთავალა შორს წაგვიყვანს. ერთი კი ცხადია: ვ. ციკოლიას აღზრდილები დიდად აფასებენ მოამაგე პედაგოგს და მეორე მშობლად მიიჩნევენ მას.

—ვლადიმერ ციკოლია ჩემი ყოფილი მასწავლებელია, მისგან შევიძინე ცოდნა, გძმოცდილება. როცა პირველად სკოლაში დირექტორად დავიწყე მუშაობა, ბევრი რამ მიჭირდა, მაგრამ ყოფილი მასწავლებლის დახმარებით გადალახე სიძნელენი, წარმატებები მოვიპოვეთ სკოლაში. 1962-1963 სასწავლო წელს ჩვენს სკოლაში მოსწავლეთა აკადემიურობა წარმატებამ 98 პროცენტს მიაღწია, გასულ სასწავლო წელს კ ? მხოლოდ ერთი მოსწავლე იქნა იმავე კლასში დატოვებული. ეს „საგანგებო შემთხვევად“ ჩაითვალა ჩვენს კოლექტივში, — ამბობს თიღვის რვაწლიანი სკოლის დირექტორი ი. მაისურაძე.

ქსუისის, ავნევის, ზნაურის, კეხვის საშუალო, დასეეის, თამარაშენის, ხეეთის მ-წლიანი, არგვიცის, ფრისის დაწყებითი და რაიონის მთელი რიგი სხვა სკოლები რომ მოწინავეებად ითვლებიან და კარგად ემსახურებიან ბავშვთა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდას, ეს ინსპექტორ ვლადიმერ ციკოლიას ნაამაგარიც არის.

— ვ. ციკოლია სკოლებში მარტო აღგილზე დანმარებით კი არ კმაყოფილდება, არამედ ხშირად გააქვს საკითხები ცალკეული სკოლების მუშაობის შესახებ რაიონის განათლების განყოფილებასთან შექმნილ საბჭოს სხდომებზე, სადაც დაუფარავად აკრიტიკებს ჩამორჩენილ მუშაკებს, ახდენს მოწინავე პედაგოგების გამოცდილების განზოგადებას. ვლადიმერის მოხსენებათა საფუძველზე საბჭო ადგენს ღონისძიებებს ნაკლოვანებების სწორად გამოსასწორებლად.

ხუმრობა როდია ზნაურის რაიონის 1700-ზე მეტი პედაგოგისათვის დახმარების გაწევა, მეთოდური რჩევის მიცემა! მაგრამ ამ კეთილშობილურ საქმეს უშრეტი ენერგიით აკეთებს ენერგიული, მუხლმოუდრეკელი ინსპექტორი ვლადიმერ ციკოლია. მისი საქმიანობისამებრ გასულ წელს კოლმეურნეობაში მოვიყარე 7 ათას კვადრატულ მეტრზე დათესილ სიმინდის ყანას და მივიღე 32 ცენტნერი მარცვეული, რისთვისაც დამატებითი ანაზღაურების სახით თიღვის კოლმეურნეობამ 500 კილოგრამი სიმინდი მომცა, წელს კი, აი, ხომ ხედავთ სუნისის უბაზრო ცამდე აზიდულ, ორჯერ გათოხნილ სიმინდის ყანას! მას 8.500 კვადრატული მეტრი ფართობი უკავია, მე ვფელ და მიზნად მაქვს დასახული მივიღო 80-90 ცენტნერზე მეტი მოსავალი.—გვეუბნება ოქმონის 8-წლიანი სკოლის ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელი ბექან აპარაძე. აი ასეთ შრომის სიყვარულს უნერგავენ ბავშვებს ვლადიმერ ციკოლია და მისი კოლეგები.

გულისხმიერი, საქმის მცოდნე ინსპექტორის ვ. ციკოლიას შრომითი საქმეები დიდად დააფასეს პარტიამ და მთავრობამ. 1961 წელს მას საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება მიენიჭა. ამან კიდევ უფრო აღფორთოვანა და ნაყოფიერი გახადა საყვარელი პედაგოგისა და ადამიანის შრომითი საქმიანობა.

Ლ. ᲪᲝᲢᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.
სოფლკორი.

ᲤᲝᲚᲝᲥᲘ

ᲒᲖᲐᲡ ᲛᲔᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲐᲙᲚᲘᲐ

ᲞᲐᲜᲯᲘᲡᲘᲡ ხეობა ულამაზესი კუთხეა ახმეტის რაიონში. ალაზნის გალმა-გამოლმა გაშლილია ცამეტი საკოლმეურნეო სოფელი. პანკისელი მშრომელები რაიონის ცენტრს ათი-თხუთმეტი კილომეტრით არიან დაშორებული. ბუნებრივია, მათ ხშირად უხდებათ ახმეტაში საქმიანი მიმოსვლა. საამისოდ გარეგნულად თითქოს ყველაფერი მოგვარებულია. პანკისელი მშრომელების მოთხოვნა გაითვალისწინეს და მიმოსვლა დაიწყო ავტობუსმა: თბილისი-ჯოყოლო. ეს ძალიან კარგია, მაგრამ ამა ახლა იმ მძღოლებს ჰკითხეთ, რომლებსაც პანკისის გზაზე უხდებათ მანქანების ტარება!

ახმეტიდან ჯოყოლომდე მთელი გზა ოღროჩოღროდა. ასეთი გზა კი ძალიან ძალე გამოიყვანს მწყობრიდან მანქანებს. ამ „სიკეთეს“ კიდევ ერთი ეფექტება: მდინარე კურტანაძეულზე ხიდი არ არის. წყალდიდობის დროს აქ მოძრაობა წყდება.

პანკისის სასოფლო გზა უპატრონოდ არის მიტოვებული.

Თ. ᲩᲘᲥᲝᲕᲘᲜᲘ.

ᲠᲝᲓᲘᲡ ᲨᲔᲐᲙᲔᲗᲔᲑᲔᲡ?

ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲫᲘᲡ რაიონის სოფელ კიცხის ოქტომბერიძე-ჯდინარაძეების უბანში რადიოხაზი დაზიანდა.

შეკეთებისათვის მივმართეთ რაიონის კავშირგაბმულობის ხელმძღვანელობას, მაგრამ ამაოდ, რადიოხაზი დღესაც დამუნჯებულია.

Დ. ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲐᲫᲔ.
მასწავლებელი.

ᲙᲚᲣᲑᲘ ᲓᲐᲙᲔᲢᲘᲚᲘᲐ

ᲒᲝᲠᲔᲚᲘ რკინიგზელები კმაყოფილი ვიყავით ჩვენი კლუბის საქმიანობით, ნაყოფიერად მუშაობდნენ წრეები, თითქმის ყოველდღიურად ეწყობოდა კინოსეანსები, მაგრამ აგვი მეორე წელია იქ ქაობისებურმა მყუდროებამ დაისადგურა, კლუბი შენობის რეკონსტრუქცია-რემონტისათვის გამოკეტეს.

გამოკეტეს, და მშენებელ-შემკეთებლებიც არ ჩქარობენ. ამასობაში გადის წლები...

Თ. ᲚᲝᲛᲘᲫᲔ — სადგურის მორიგე,
Მ. ᲤᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ — ტექმეანგარეგ,
Ნ. ᲛᲐᲙᲐᲠᲝᲕᲐ — მოლარე.

ᲡᲐᲓ ᲨᲔᲕᲘᲫᲘᲜᲝᲗ ᲤᲐᲜᲯᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲐ?

რამდენიმე წლის წინათ ფანჯრის მინა საკმაო რაოდენობით იშოვნებოდა. ახლა კი მაღაზიებში მას იშვიათად ნახავთ. სამაგიეროდ იგი აქვთ ქორ-ვაჭრებსა და გადამყიდველებს. ამ გარეწრებს იგი ხელში არ ჩაუვარდებოდათ, რაიონის სავაჭრო ორგანიზაციები სათანადოდ რომ ზრუნავდნენ ფანჯრის მინის შემოზიდვისა და დანიშნულებისა მ ე ბ რ გასაღებისათვის.

საკითხავია, სად შევიძინოთ მინა, გადამყიდველ ე ბ თან თუ მაღაზიებში?

ვფიქრობთ ამ საკითხის სწორად გადაჭრა რაიონის სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელების საქმეა.

Კ. ᲥᲝᲠᲘᲫᲔ,
ახალციხის რაიონი, სოფელ წახანი.

ᲠᲐᲓᲘᲝ ᲓᲣᲛᲡ...

ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘᲡ რაიონის ქვედა საქარის სასოფლო კლუბში რადიო თებერვლიდან არ მუშაობს.

სასოფლო საბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელებმა კავშირგაბმულობის მუშაკებს რამდენიმე მიმართვა გაუგზავნეს, რომ ხაზი აღედგინათ, მაგრამ ისინი მხოლოდ დაპირებებს იძლევიან.

როდემდე?

Ლ. ᲙᲣᲞᲐᲢᲐᲫᲔ,
ქვედა საქარის სასოფლო კლუბის გამგე.

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲑᲔ᭢ᲓᲘᲚᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ..

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲛ მიიღო სიგნალი, რომელშიც აღნიშნული იყო თბილისმოსტანვაჭრობის № 27 მაღაზიაში საბჭოთა ვაჭრობის წესების დარღვევის ფაქტები. წერილი შესამოწმებლად და ზომების მისაღებად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს. წერილთან დაკავშირებით თბილისმოსტანვაჭრობის დირექტორმა ამხ. ა. კვაშალმა რედაქციას აცნობა.

მაღაზია № 27-ის დამტარებელ-გამყიდველმა გ. ბაღდასაროვმა მოიხმარებელ გ. შებანაშვილს თითო კილოგრამი ვაშლისა და ატმის გაცემისას წონაში დააკლო ორმოცორმოცი გრამი. ვაჭრობის წესების დარღვევისათვის დამტარებელ-გამყიდველი გ. ᲑᲐᲦᲓᲐᲡᲐᲠᲝᲕᲘᲡ სამუშაოდან მოიხსნა, ხოლო ამავე მაღაზიის გამგე Ი. ᲨᲣᲠᲘᲫᲔᲡ გაფრთხილებულ იქნა. დასახულია ღონისძიებები გამყიდველებისადმი კონტროლის გასაძლიერებლად.

ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲘ — ᲡᲐᲛᲝᲜᲢᲐᲟᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲔᲓᲜᲐᲓ!

ᲨᲕᲘᲓᲬᲚᲔᲓᲘᲡ განვლილ წლებში საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 4 ტრესტს, რომელიც ქუთაისსა და დასავლეთ საქართველოს მთელ რიგ რაიონებს ემსახურება, თითქმის ერთისამად გაუდიდდა კაპიტალური მშენებლობის მოცულობა. თუ 1959 წლის გეგმა 6,8 მილიონი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესრულებას ითვალისწინებდა, მიმდინარე 1964 წლის გეგმით კაპიტალური დაბანდების თანხა 16,8 მილიონ მანეთს აღემატება.

მარტო მიმდინარე წლის რვა თვეში ჩვენი ტრესტის კოლექტივმა შეასრულა ათ მილიონამდე მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, ანუ ერთნახევარჯერ მეტი, ვიდრე მთელი 1959 წლის განმავლობაში.

1964 წლის რვა თვეში ავაგეთ და საექსპლოატაციოდ გადავეცით საცხოვრებელი სახლები 11.208 კვადრატული მეტრი საერთო ფართობით, აგრეთვე 8 სკოლა, სამი სკოლა-ინტერნატი, ორი სპალეშო ბაღი, ლითოფონის ქარხნის ახალი ქიმიური ობიექტი — რაბდოპასიტის საამქრო და ბევრი სხვა ობიექტი.

ამაღლდა შრომის ნაყოფიერება, გაიაფდა მშენებლობის ღირებულება, რის შედეგად განვლილ პერიოდში სახელმწიფოს 193.000 მანეთი მოგება მიეცა.

უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვან ღონისძიებებს ვახორციელებთ მშენებლობის ინდუსტრიულ მეთოდებზე უსწრაფესი გადასვლისათვის, იმისათვის, რომ უფრო ფართოდ გამოვიყენოთ ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები სამშენებლო მოედნებზე, რომ ისინი ფაქტიურად სამონტაჟო მოედნებად გადავაქციოთ. ამ მხრივ ჩვენ ერთგვარი დადებითი გამოცდილება შევიძინეთ.

ასაწყობი რკინაბეტონის, პროგრესული კონსტრუქციების გამოყენება ტრესტის მთელი კოლექტივის, ყველა მისი სამშენებლო სამმართველოს მთავარი ხაზი გახდა. ახლა საცხოვრებელი სახლების სართულშუა გადახურვები, კიბის ეურეფები, ზღუდეები, აუნები მთლიანად რკინაბეტონის ელემენტებისაგან აიწყობა. ასევე კარებისა და ფანჯრების ბლოკები ჯერ ქარხანაში მზადდება და მერე ობიექტზე აიწყობა ხოლმე.

თითქმის მთლიანად ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებით ეაგების ახალ სამრეწველო შენობებს. ჰიდრომექანიზმების ქარხნის მთავარი კორპუსი ფოთში, ლითოფონისა და საავტომობილო ქარხნის ახალი საამქროები, საწყობები და სხვა ობიექტები კი არ შენდება, უფრო სწორად, მონტაჟდება სამშენებლო მოედანზე.

ტრესტის კოლექტივი ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებს რკინაბეტონის ასაწყობი კონსტრუქციების დანერგვის დავალებებს. ასეა მიმდინარე წელსაც. ყოველი მილიონი მანეთის შესრულებულ სამუშაოზე უკვე გამოყენებული გვაქვს 2.660 კუბმეტრი კონსტრუქციები, მაშინ როცა გეგმა 2.600 კუბმეტრს ითვალისწინებს. დანერგილი ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებიდან 1350 კუბმეტრი კონსტრუქცია დამზადებულია წინასწარ დაძაბული არმატურით.

მომზადებულია საწარმოო ბაზები იმისათვის, რომ პროგრესული კონსტრუქციები სერიულად იქნას გამოშვებული. რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხნის პოლიგონზე, დამთავრდა ორი სტენდი, რომლებზეც გამოშვებულ იქნება დიდმალიანი წინასწარ დაძაბული კონსტრუქციები. აქვე ამუშავდა რკინაბეტონის უწნეეო მილების დამამზადებელი საამქრო. ახლებურად ეწყობეტ სეზონის გაკეთების საკითხსაც. ქუთაისში უკვე ავაგეთ რამდენიმე საცხოვრებელი სახლი ბრტყელი გადახურვით.

გადადგმული გვაქვს პირველი ნაბიჯები დიდსართულიანი სახლების მშენებლობაშიც. ორი ასეთი 44-ბინიანი სახლი უკვე ავაგეთ საავტომობილო ქარხნის ტერიტორიაზე. კიდევ ვაშენებთ ორ მრავალსართულიან სახლს. მომავალი წლიდან კი ჩვენ მიერ აგებული სახლების უმეტესობა დიდსართულიანი იქნება. ამ სახლების ავგებ-დამონტაჟების ძირითადი ბაზა იქნება ქუთაისის სახლთსამშენებელო კომბინატი, რომელიც ახლახან გადაეცა საექსპლოატაციოდ და ყოველწლიურად მოგვცემს ასაწყობ მსხვილ პანელებს 35.000 კვადრატული საცხოვრებელი ფართობის დასამონტაჟებლად.

საგულისხმოა, რომ პირველად საქართველოში ჩვენი ტრესტის კოლექტივის ინიციატივით დაინერგა ხიმინჯოვანი საძირკვლების მოწყობა. მაგალითად, ფოთში, სადაც ძალზე სუსტი ყამირებია, რკინაბეტონის ხიმინჯების გაყოლებით ავაგეთ ცხრა მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი, ასევეე კონსტრუქციით ვაშენებთ სახლს ცხაკაიაში. ამ სიახლემ გაათავისუფლა მიწის სამუშაოებზე დაბანდებული მუშახელი, აგრეთვე მექანიზმები, ამასთან გაამარტივა სამუშაოთა წარმოების ტექნოლოგია და დღემდე 72.000 მანეთის ეკონომია მოგვცა.

მშენებლობის ღირებულების შემცირების ერთ-ერთ რეზერვად გამოდგა საავტომობილო ქარხნის თბოელექტროცენტრალის ნარჩენი ნაცარი, რასაც შემავსებლად ვიყენებთ ხსნარსა და ბეტონში, რითაც ცემენტის მნიშვნელოვან ეკონომიას ვაღწევთ.

მშენებლობაში ასაწყობი კონსტრუქციებისა და კომპლექსური მექანიზაციის ხვედრითი წილის გადიდება, რაც ცალკეულ სამუშაოთა შესრულებიდან რთული ტექნოლოგიური პროცესების შესრულებას მოითხოვს, გადაუდებლად აყენებს კომპლექსურ ბრიგადებზე გადასვლის საკითხს. ამ მხრივაც პრაქტიკული ნაბიჯები გადავდგით. ამჟამად ტრესტს სამშენებლო სამმართველოებში მუშაობს 29 კომპლექსური ბრიგადა, რომლებიც 604 მშენებელს აერთიანებენ. შრომაში განსაკუთრებით გამოირჩევიან გ. გოშაძის, ბ. ᲫᲣᲠᲐᲫᲘᲡ, ვ. ᲙᲣᲠᲜᲘᲩᲘᲜᲘᲡ, ი. ოსიპოვის კომუნისტური შრომის კომპლექსური ბრიგადები.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ტრესტის საქმიანობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი, ხელისშემშლელი მიზეზია, რაც უარყოფითად მოქმედებს როგორც საერთო ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠ-ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠ მაჩვენებლებზე, ისე მოწინავე სამშენებლო ტექნოლოგიის ფართოდ დანერგვაზე.

მიღებული ზომების მიუხედავად, ტრესტმა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა რვა თვის გეგმა ვერ შეასრულა. დამახასიათებელია, რომ მაშინ, როცა მე-2, მე-4, მე-6 და მე-7 სამშენებლო სამმართველოები (უფროსები ბ. ᲧᲣᲗᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ, კ. ᲐᲑᲔᲣᲐᲫᲔ, ფ. ᲛᲐᲛᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ და ა. ᲑᲣᲚᲔᲘᲐ) ყოველთვის მოწინავეთა რეგებშია, პირველი, მე-3, მე-9 და მე-10 სამმართველოები (უფროსები კ. დათიაშვილი, ხ. ჩაგიევი, ა. კირტავა და შ. ᲙᲐᲡᲘᲠᲐᲫᲔ) გაუმართავად მუშაობენ და ამ ბოლო დროს სამარცხვინოდ ჩამორჩნენ. განსაკუთრებით მიუტევებელია ეს № 1 და № 9 სამმართველოებისათვის, რომლებიც საავტომობილო ქარხნისა და ლენინგრადის ქარხნის ობიექტებზე მუშაობენ.

აქ პირდაპირ უნდა ითქვას, აღნიშნული ჩამორჩენა ძირითადად ისევ ჩვენი, მშენებლების, მოუქნელი მუშაობით არის გამოწვეული. მაგრამ ზოგჯერ ეს ჩვენგან დამოუკიდებელ ხელისშემშლელ მიზეზებთანაც არის დაკავშირებული.

მშენებლები კვლავ დიდი დაგვიანებით იღებენ საპროექტო დოკუმენტაციას, ხოლო სამრეწველო ობიექტებზე ზოგჯერ საქმეს აფერხებს დამკვეთის მხრივ მოწყობილობათა დროულად მიუღებლობა. მაგალითად, საავტომობილო ქარხნის კომუნიკაციების რეკონსტრუქციის პროექტის ნაწილი მშენებლებმა ახლახან აგვისტოში მიიღეს, ხოლო მთლიანად პროექტი აღმათ დეკემბერში იქნება გადმოცემული. ასეთივე მდგომარეობაა ფოთის ქარხანა „ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲐᲞᲐᲠᲐᲢᲘᲡ“, ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნისა და სხვა ობიექტების მშენებლობაზე. ქუთაისის ლითოფონის ქარხანას ლაქსაოვგბავების კომპლექსისა და სხვა ობიექტების მშენებლობისათვის დღემდე აკლია 65 დასახელების ტექნოლოგიური მოწყობილობა.

ყველაფერი რეგზე როდია სამშენებლო მასალებით მომარაგების საქმეშიც. მშენებლები შეფერხებებით იღებენ აგურს და ცემენტს. ამასთან მოუწესრიგებელია მისი გადაზიდვის საქმე. ქარხნებიდან სამშენებლო მოედნამდე აგურის დაცლა-დატვირთვისას სამშენებლო მასალის დამტვერვეის თავიდან ასაცილებლად ახლა ფართოდ იყენებენ კონტეინერებს. საამისოდ ჩვენმა ტრესტმა ასობით კონტეინერი დაამზადა. მაგრ

საერთაშორისო
დეკემბრის ცნობები ბიულეტენი
ცხოვრება

ჩვენი პლანეტის დღეები

მშვიდობის ახალი დოკუმენტი

გოლდუოტერი ინიღბება



ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲙᲣᲑᲘᲡ რესპუბლიკის დედაქალაქი ჰავანა. იგი მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ნავსადგურად ითვლება.

ჰავანაში თავს იყრის საზღვაო სავაჭრო ტრასები.

სურათზე: თანამედროვე ჰავანა. მარჯვნივ ჩანს კაპიტოლიუმის გუმბათი. ამ შენობაშია კუბის მეცნიერებათა აკადემია.

ფოტო პრენსა ლატინა-საკადესისა

ᲘᲣ�გᲝᲡᲚᲐᲕᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ

ᲑᲔᲚᲒᲠᲐᲓᲘ, 24 სექტემბერი. (საკდესი). იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის აღმასკომმა მიიღო გადაწყვეტილება მომდინარე წლის 7 დეკემბერს ბელგრადში მოიწვიოს იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის VIII ყრილობა. ყრილობის დღის წესრიგში შეტანილია შემდეგი საკითხები: 1) იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება მუშაობის შესახებ VII და VIII ყრილობებს შორის; 2) კომუნისტთა კავშირის როლი სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის შემდგომ მშენებლობაში და აქტუალური პრობლემები საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში, მხოფლიოს მშვიდობისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში (მომხსენებელი ი. ბროზ ტიტო); 3) მომავალ პერიოდში ეკონომიკის განვითარების საზოგადოებრივ-ეკონომიური მიზნები (მომხსენებელი ე. კარდელი); 4) იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის შემდგომი მშენებლობის აქტუალური საკითხები (მომხსენებელი ა. რანკოვიჩი); 5) იდეური პროცესები განვითარების ახლანდელ სტადიაში და იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის შემდგომი ამოცანები (მომხსენებელი გ. ვლახოვიჩი; 6) იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის წესდების ცვლილებანი და დამატებანი (მომხსენებელი ლ. კოლიშევსკი); 7) VIII ყრილობის რეზოლუციის მიღება იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის მორიგი ამოცანების შესახებ; 8) იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტისა და სხვა ცენტრალური ორგანოების არჩევნები; 9) სხვადასხვა საკითხი.

ᲛᲝᲙᲚᲔ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

△ **ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲘᲡ** მთავრობის მიწვეთი პრაღაში ოფიციალურ ვიზიტად ჩავიდა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ალი საბრი.

△ **ᲠᲐᲑᲐᲗᲨᲘ** და მაროკოს ატლანტის სანაპიროზე კვლავ ცივი ამინდებია. თერმომეტრი ჩრდილში უჩვენებს 38-40 გრადუს ტემპერატურას, მაგრამ ატლასის მთებში უკვე მოვიდა პირველი თოვლი.

△ **ᲞᲠᲐᲦᲐ.** 22 სექტემბერს ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქში პირველი თოვლი მოვიდა. როგორც ჩტკას საინფორმაციო იუწყება, პაერის ცივი ნაკადი აქ მოვიდა ალმოსავლეთ გრენლანდიასა და შპიცბერგენს შორის მდებარე რაიონიდან.

△ **ᲡᲐᲐᲒᲐᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲝ** კატასტროფათა შედეგად თურქეთში ყოველწლიურად იხოცება ასობით ადამიანი. 2.410 დახოცილი, 11 ათასი დაშავებული და 1 მილიარდი ლირის ზარალი — ასეთია გაზეთ „ტერჯიუმანის" მონაცემებით იმ უბედურ შემთხვევათა შედეგი, რომლებიც თურქეთის გზებზე მოხდა მარტო გასულ წელს.

△ **ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ** რესპუბლიკის პრეზიდენტი გენერალი დე გოლი, რომელიც ლათინური ამერიკის ქვეყნებში მოგზაურობს, კარაკასიდან (ვენესუელა) ჩავიდა კოლუმბიის დედაქალაქ ბოგოტაში.

△ **ᲕᲔᲜᲔᲡᲣᲔᲚᲘᲡ** ეროვნული განთავისუფლების შეიარაღებული ძალების ჯგუფმა აიღეთქა პოლიციის ავტომობილი ავტომაგისტრალზე, რომელიც სატანლუისისა და პეტარის დასახლებულ პუნქტებს აერთებს 20 კილომეტრზე კარაკასიდან. ამავე დროს მეორე შეიარაღებულმა ჯგუფმა ცეცხლი დაუშინა მარაკაეს საპოლიციო უბანს.



ᲘᲐᲞᲝᲜᲔᲚᲘ ხალხის ფართო წრეები, მეცნიერებით დაწყებული და დასახლისეანით დამთავრებული, აჩაღებენ ბრძოლას მთავრობის იმ გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომ დამჭიდროდ იქნას ამერიკის ატომური წყალქვეშა ნავების შესვლა იაპონიის ნავსადგურებში.

სურათზე: საპროტესტო დემონსტრაცია იოკოსუკაში.

ფოტო ჯაპან პრეს-საკადესისა.

ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲧᲔᲜᲝᲗ ᲫᲐᲚᲐ

ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲭᲠᲔᲚᲐᲓ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 23 სექტემბერი. (საკდესი). სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს უ ტანსადმი, რომელშიც სთხოვს გენერალური ასამბლეის მე-19 სესიის დღის წესრიგში ცალკე დიდმნიშვნელოვან საკითხად შეიტანოს პუნქტი იმის შესახებ, რომ „სახელმწიფოებმა არ გამოიყენონ ძალა ტერიტორიული დავისა და საზღვრების საკითხების გადასაჭრელად", დღეს ოფიციალურ დოკუმენტად გავრცელდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

Ա. Ա. ᲒᲠᲝᲛᲘᲙᲝᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ

ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲘᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 23 სექტემბერი. (საკდესი). სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს წერილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის უ ტანსადმი, რომელშიც სთხოვს გენერალური ასამბლეის მე-19 სესიის დღის წესრიგში ცალკე დიდმნიშვნელოვან საკითხად შეიტანოს პუნქტი იმის შესახებ, რომ „სახელმწიფოებმა არ გამოიყენონ ძალა ტერიტორიული დავისა და საზღვრების საკითხების გადასაჭრელად", ოფიციალურ დოკუმენტად გავრცელდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

ᲐᲐ. ᲒᲠᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲐᲖᲠᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲡᲐᲛᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘ�პᲘ.

ᲐᲐ. ᲒᲠᲝᲛᲘᲙᲘ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ, რომ მოსაზრებანი, რომლებმაც საბჭოთა მთავრობა აიძულა გამოეჩინა ინიციატივა და წამოეყენებინა წინადადება, რომ დაიდოს საერთაშორისო შეთანხმება, რათა სახელმწიფოებმა არ გამოიყენონ ძალა ტერიტორიული დავისა და საზღვართა საკითხების გადასაჭრელად, უყოყმანოდ სრულად არის გაშუქებული წერილში, რომელიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა გაუგზავნა 1963 წლის 31 დეკემბერს მსოფლიოს ქვეყნების სახელმწიფოთა (მთავრობათა) მეთაურებს.

შეიძლება მტკიცე რწმენით ითქვას, ხაზგასმულია შემდეგ წერილში, რომ ახალ ვითარებაში, რომელიც შეიქმნება იმის შედეგად, რომ სახელმწიფოები არ გამოიყენებენ ძალას ტერიტორიული დავის გადასაჭრელად, გაცილებით ადვილი იქნება გადაიჭრას სხვა ძირეული საერთაშორისო პრობლემები, უწინარეს ყოვლისა განიარაღების პრობლემა, გაფართოვდეს სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანამშრომლობის სფეროები.

საბჭოთა მთავრობის ღრმა რწმენით გაერთიანებული ერების ორგანიზაციას შეუძლია შეიტანოს და კიდეც უნდა შეიტანოს თავისი წვლილი იმის უზრუნველყოფაში, რომ ძალა ან ძალის მუქარა არ გამოიყენონ სახელმწიფოებმა ტერიტორიული და სასაზღვრო დავის მოწესრიგების დროს, რომ ეს დავა გადაიჭრას მშვიდობიანი და მხოლოდ მშვიდობიანი საშუალებებით.

ᲐᲐ. ᲒᲠᲝᲛᲘᲙᲘ ᲗᲮᲝᲕᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠ ᲛᲓᲒᲝᲛᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲢᲐᲜᲐᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲕᲐ, როგორც განმარტებითი ბარათი, გათვალისწინებული გენერალური ასამბლეის პროცედურის წესების მე-20 წესით და გავრცელოს იგი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოფიციალურ დოკუმენტად.

ᲓᲐᲜᲘᲘᲐᲨᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲔᲓᲒ

ᲙᲝᲞᲔᲜᲰᲐᲒᲔᲜᲘ, 23 სექტემბერი. (საკდესი). დანიის ახალი ფოლკეთინგის (პარლამენტის) არჩევნებთან დაკავშირებით პრემიერ-მინისტრი ე. ო. კრაგი დღეს გადადგა. მეფემ ე. ო. კრაგს სთხოვა თავისი მოვალეობანი კვლავ შეასრულოს მინისტრების ახალი კაბინეტის დანიშვნამდე.

ᲓᲔᲛᲐ�გᲝ�გᲘᲐ ᲓᲐᲚᲐᲡᲨᲘ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 24 სექტემბერი. საკდესის კორესპონდენტი **ვ. პეტრუსენკო** იუწყება: „ძნდა მშვიდობაზე ვილაპარაკო. არც ერთ დადაიას ისე არ უნდა თავიდან აიცილოს ომი, როგორც მე". ვინ თქვა ეს სიტყვები? რომელიმე პაციფისტმა? არა! ამ სიტყვებით დაიწყო თავისი გამოსვლა ამეიკის ლეგიონის (სამხედრო რეაქციული ორგანიზაცია. — რედ. შენიშვნ.) ეროვნული ყრილობის მონაწილეთა წინაშე დალასში სენატორმა ბარი გოლდუოტერმა. მაშ რით ავხსნათ, რომ პრეზიდენტობის რესპუბლიკელმა კანდიდატმა მილიტარისტული მოწოდებანი შეაცალა განცხადებებით, რომ „ეს წარმოფენის" მშვიდობას. სენატორის თანამებლები — გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის" მიმომხილველი კეროლ ჰილპატრიკი აღნიშნავს: „გოლდუოტერი დარწმუნებულია, — იმან, რომ ქარაფშუტობას ამბობენ, როცა საქმე ეხება „სასხლეტ კაუს" (ესე იგი ატომური ბომბის გამოყენებას. — რედ. შენიშვნ.), მეტი ზიანი მოაყენა, ვიდრე სხვა რამემ და რომ ეს ნომერ 1 ბარიერია, რომელიც მან უნდა დასძლიოს, რათა გიმარჯვოს 3 ნოემბრის არჩევნებში". სწორედ იმიტომ, რომ დასძლიოს ეს „ბარიერი", გოლდუოტერმა დაიწყო ლაპარაკი მშვიდობაზე, დემაგოგიურად ასაღებს თავს მშვიდობის მომხრედ.

მაგრამ, ეს აღთქმანი დიდხანს როდი გაგრძელდა. დალასში წარმოთქმულ სიტყვაში გოლდუოტერმა სწრაფად დაანება თავი მოწოდებას მშვიდობისათვის და მიმართა საომარ მუქარას საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნებისადმი. სენატორი დემაგოგიურად ამტკიცებდა, კომუნიზმი „მსოფლიოს მშვიდობისათვის ერთადერთი საფრთხეა".

ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲐ ᲚᲘᲒᲐᲜᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲒᲐ

ᲑᲔᲘᲠᲣᲗᲘ, 24 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ თანამდებობა დაიკავა ლიბანის ახალმა პრეზიდენტმა შარლ ჰელუმ. გუშინვე ლიბანის კონსტიტუციის შესაბამისად ჰუსეინ უეინის მთავრობა, რომელიც წინა პრეზიდენტის დროს შეიქმნა, გადადგა. პრეზიდენტმა მიიღო მთავრობის გადადგომა, მაგრამ სთხოვა მინისტრებს შეასრულონ თავიანთი მოვალეობა ახალი მთავრობის შექმნამდე.

ვარაუდობენ, რომ ახალი მთავრობის შემადგენლობა უახლოეს დღეებში გამოცხადდება.

ᲬᲚᲔᲒᲘ ᲓᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝᲛ მკითხველო!

დახედე ამ ძველისაეელ სურათს. იგი გადაღებულია ციმბირში, ეხისეისკის გუბერნიის ქალაქ კანსკში, 1915 წელს.

მაშინ აქ აღბეჭდილ ადამიანებს—ცნობილ ქუთაისელ რევოლუციონერს ქსენოფონტე მიქაუტაძეს, მის ქალიშვილს ნინოს და მეუღლეს პელაგიას, ხაციმბირალის უკვე ოთხი წლის სტაჟი ჰქონდათ.

შეიძლება იკითხოთ, ეს როგორ, ნუთუ მთელი ოჯახი გაციმბირესო?

მოდით ამ კითხვაზე და კიდევ ბევრ დღემდე უცნობ, მეტად საინტერესო ამბებზე, პასუხი მივანდოთ ამ სურათზე აღბეჭდილ ნაციმბირალ ქალს ნინო ქსენოფონტეს ასულ მიქაუტაძეს, რომელიც ახლა ქ. ქუთაისში, ლესელიძის ქუჩაზე (№ 31) ცხოვრობს.

ამ სახლში ძვირფას რელიკვიებად ინახება პოლიტკატორღელის სამაგიდო წიგნები, ცხეებსა და კატორღებში მიწერ-მოწერა, ძველი ეურნალ-გაზეთები, ხელნაწერი ლექსების კრებულები, ძველი ფოტოსურათები...

დაფანტული ფურცლები მოგვითხრობენ ჩვენს მამა-პაპათა, რევოლუციისათვის მამაც მებრძოლთა გმირობაზე, მათს მაღალ ადამიანურ მორალზე.

ამ ფურცლებიდან ჩანს, რომ ნინო მიქაუტაძის მამა—სოფლის მასწავლებელი ქსენოფონტე ზოსიმეს-ძე მიქაუტაძე პირველი რევოლუციის წლებში დიდ პროპაგანდისტულ მუშაობას ეწეოდა ლეჩხუმის მაზრის გლეხებში, ქუთაისისა და ჭიათურის მუშათა შორის, რისთვისაც მეფის სატრაპები გამუდმებით სდევნიდნენ.

ქს. მიქაუტაძე უკანასკნელად 1909 წლის მარტში დაუპატიმრებიათ და ქუთაისის საგუბერნიო ციხეში ორი წლის ყოფნის შემდეგ, 1911 წელს, ციმბირში გადაუსახლებიათ, საიდანაც თებერვლის რევოლუციის შემდეგ დაბრუნებულა.

საბჭოთა ხელისუფლებამ ღირსეულად დაფასა ქს. მიქაუტაძის რევოლუციური დამსახურება და მას პერსონალური პენსია მიაკუთვნა. რევოლუციის ეს უშიშარი რაინდი გარდაცვალა თბილისში 1940 წელს.

* * *

— როცა მამაჩემი უანდარმერიის მიერ მოსყიდულმა აგენტმა გასცა, — გვიამბობს ნინო მიქაუტაძე, — მასთან ერთად დააპატიმრეს აგრეთვე ქუთაისში მცხოვრები ვინმე დომენტი ასათიანი, რომლის პასპორტითაც მამაჩემი ცხოვრობდა. ასათიანს ორი წლის პატიმრობა აკმარეს, მამას კი ციმბირში, კატორღაში უკრეს თავი.

ნინო მიქაუტაძეს, რომელიც მაშინ სულ ათიოდე წლისა იყო, მამისათვის ციხეში ბევრი წერილი მიუწერია. ჩვენს ხელთ არის მრავალთაგან მხოლოდ რამდენიმე. ერთი წერილი ასეთი ლექსით ბოლოდება:

„ᲒᲣᲚᲘᲡ ᲡᲘᲛᲬᲠᲘᲛᲘᲡ ᲘᲛᲘᲓᲘ
ᲗᲐᲜᲓᲔᲑᲐᲗᲐᲡ ᲫᲚᲔᲠᲘᲔᲑᲓᲔᲑᲐᲗ,
ᲜᲣ ᲒᲣᲨᲘᲜᲘᲐᲜᲗ ᲩᲐᲒᲠᲣᲚᲜᲝ,
ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲘᲡᲗᲘᲡᲐᲪ
ᲒᲐᲗᲔᲜᲓᲔᲑᲐᲗ!..."

როგორც მამის საპასუხო წერილიდან ჩანს, ამ ლექსს დიდი აღტაცება გამოუწვევია პოლიტიკურ პატიმართა შორის. იგი ხელიდან ხელში გადადიოდა და ყველამ ზეპირად ცოდა, ყველა მღეროდა.

როცა ქს. მიქაუტაძეს სამუდამო კატორღა მიუსაჯეს, იგი, როგორც ნამდვილ ვაჟკაცს შეჰფერის, მამაცურად შეხვდა ამ ამბავს, ცოლ-შვილი გაამხნევა.

ი რას ვკითხულობთ ქუთაისის ციხიდან მეუღლისათვის მიწერილ ერთ-ერთ ბარათში: „ჩემო პელაგია! ვიცი დაუღალავ, თავგანწირულ და მკაცრ ბრძოლას ეწევი დუჭირი და ათასგვარი გაჭირვებით გარემოცულ ცხოვრებასთან. აბა რად ვარკა ჩვენი ცხოვრება, როცა ბრალნი ძალღვივით აქეთ-იქით აწყდები ლუტკა-პურისთვის. სჯობს, რომ გადასახლებაში ვიყოთ. საქმე იქაც ბევრი აქვთ ხალხის ბედნიერებისთვის მებრძოლებს. სამუდამოდ იქ რა გვინდა? ვიცი, ხვალინდელი დღე რომ გათენდება, ისე ვიცი, მალე მოვიდება ბოლო ხალხის ტანჯვას".

უსაზღვროდ წრფელი გულით უყვარდა ქს. მიქაუტაძეს თავისი მეუღლე და ქალიშვილი.

ᲓᲐᲤᲐᲜᲢᲣᲚᲘ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲚᲐᲓᲘ

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝᲛ მკითხველო!

ყველაფერი, რაც ზემოთ გიამბეთ, ჩვენ ქსენოფონტე მიქაუტაძის ქალიშვილის ნინო მიქაუტაძე-მანაგაძის ოჯახში მიგაკვლიეთ. ნინო დიდხანს მუშაობდა მასწავლებლად, ახლა კი პენსიონერია. მას ხუთი შვილი და შვიდი შვილიშვილი ჰყავს.

ნინო მიქაუტაძე ახლოს იცნობდა ძველ რევოლუციონერ ფარნა გეგელიას. მის არქივში ინახება აფხაზეთის ასსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ფარნა გეგელიასა და ქსენოფონტე მიქაუტაძის მიწერ-მოწერა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ასევე კარგად იცნობდა იგი ჯერ კიდევ ქუთაისში პლატონ კალასონთის, რომელსაც არც კატორღაში ყოფნისას შეუწყვეტია წერილების გზავნა მიქაუტაძეების ოჯახისათვის.

გასული წლის გაზაფხულზე ნინო მიქაუტაძემ ერთ-ერთ გაზეთში წაიკითხა წერილი, რომლის ავტორი რედაქციას აუწყებდა, რომ 80 წლის მწიგნობარი კაცი სურვილს გამოთქვამდა მისი მდიდარი ბიბლიოთეკა უსასყიდლოდ გადასცემოდა გეგეკჭორის მხარემცოდნეობის მუზეუმს. წერილს ხელს აწერდა ცხაკაიას რაიონის სოფელ ნოსირის მკვიდრი პლატონ პაველს-ძე კალასონთი.

და ეი აღდგა გაწყვეტილი ძაფი... ნინო მიქაუტაძისათვის ყველაფერი ნათელი გახდა. იგი დარწმუნდა, რომ მათი ოჯახის ყველაზე მანლობელი ადამიანი ცოცხალი იყო. ნინო სოფელ ნოსირში ეწვია პლატონ კალასონთას. ამაღელვებელი შეხვედრა მოხდა ორმოცდაცამეტი წლის შემდეგ. მაგრამ მეგობრობამ, როგორც იტყვიან, არ იცის მანძილი, არ იცის ხანდაზმულობა. პ. კალასონთია გარდაიცვალა ამ შეხვედრიდან ერთი წლის შემდეგ, 1964 წლის 27 მარტს.

ბევრის მომსწრეა ნაციმბირალი ქალი. მან ბავშვობიდანვე, ათი წლის ასაკიდანვე მიიღო რევოლუციური ნათლობა. მისი და მისი ოჯახის ცხოვრება იმის შთამაგონებელი მაგალითია, თუ როგორ უნდა ემსახურო ხალხს, სამშობლოს.

დაფანტული ფურცლები ნათლად ღაღადებენ იმაზე, თუ რამდენი ოფლი და სისხლი დაღვარეს, რამდენი ტანჯვა-წვამება გადაიტანეს ჩვენმა სახელოვანმა წინაპრებმა იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყნის მიწაწყალი მდიდარი, თავისუფალი და ბედნიერი გამხდარიყო.

Ш. ᲯᲐᲕᲐᲮᲐᲫᲔ,
Д. ᲒᲔᲓᲔᲜᲘᲫᲔ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲚᲐᲜᲔᲢᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ

ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲘ

ᲒᲝᲚᲓᲣᲝᲢᲔᲠᲘ ᲘᲜᲘᲦᲑᲔᲑᲐ

ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲧᲔᲜᲝᲗ ᲫᲐᲚᲐ

ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲭᲠᲔᲚᲐᲓ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 23 სექტემბერი. (საკდესი). სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მდივანს უ ტანსადმი, რომელშიც სთხოვს გენერალური ასამბლეის მე-19 სესიის დღის წესრიგში ცალკე დიდმნიშვნელოვან საკითხად შეიტანოს პუნქტი „სახელმწიფოებმა არ გამოიყენონ ძალა ტერიტორიული დავისა და საზღვრების საკითხების გადასაჭრელად".

წერილში აღნიშნულია, რომ სახელმწიფოთა ტერიტორიულ პრეტენზიებსა და დავას ერთნაირი ხასიათი როდი აქვთ. მოთხოვნები, რომლებიც უკავშირდება ამა თუ იმ ხალხის განთავისუფლებას კოლონიური ბატონობისაგან ან უცხოელთა ოკუპაციისაგან ან ასეთი განთავისუფლების დამთავრებას, უთუოდ, სამართლიანნი მოთხოვნებია და უნდა დაკმაყოფილდეს ყველა ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის უფლების შესაბამისად.

ცხოვრება გვიჩვენებს, ნათქვამია წერილში, რომ მეტი წილი ტერიტორიული დავა და პრეტენზიები დამოუკიდებელ სახელმწიფოთა უკვე ჩამოყალიბებულ საზღვრებთან დაკავშირებით შეიცავს საკმაოზე მეტ საწვავ მასალას, რომელიც შეიძლება დიდი ხანძარი გამოიწვიოს. დაუკმაყოფილებელი ტერიტორიული პრეტენზიების გამო ერთხელ დაწყებული ახალი კონფლიქტები, აღნიშნულია წერილში, შეიცავს საფრთხეს, რომ მოედება მსოფლიოს ვრცელ რაიონებს, მათი წარმოშობის კერიდან მეტად დაშორებულ რაიონებსაც კი და, საბოლოო ანგარიშით, შეიძლება გადაიზარდოს მსოფლიო რაკეტულ-ატომურ ომად. არის ერთი გამოსავალი, რომ აღიკვეთოს მოვლენათა ასეთი საბედისწერო განვითარება: სახელმწიფოებმა არ უნდა გამოიყენონ ძალა ტერიტორიული დავისა და საზღვართა საკითხების გადასაჭრელად და აღიარონ პრინციპი, რომ ასეთი საკითხები შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ მშვიდობიანი საშუალებებით.

ა. ა. გრომიკო აღნიშნავს, რომ მოსაზრებანი, რომლებმაც საბჭოთა მთავრობა აიძულა გამოეჩინა ინიციატივა და წამოეყენებინა წინადადება, რომ დაიდოს საერთაშორისო შეთანხმება, რათა სახელმწიფოებმა არ გამოიყენონ ძალა ტერიტორიული დავისა და საზღვართა საკითხების გადასაჭრელად, უყოყმანოდ სრულად არის გაშუქებული წერილში, რომელიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა გაუგზავნა 1963 წლის 31 დეკემბერს მსოფლიოს ქვეყნების სახელმწიფოთა (მთავრობათა) მეთაურებს.

შეიძლება მტკიცე რწმენით ითქვას, ხაზგასმულია შემდეგ წერილში, რომ ახალ ვითარებაში, რომელიც შეიქმნება იმის შედეგად, რომ სახელმწიფოები არ გამოიყენებენ ძალას ტერიტორიული დავის გადასაჭრელად, გაცილებით ადვილი იქნება გადაიჭრას სხვა ძირეული საერთაშორისო პრობლემები, უწინარეს ყოვლისა განიარაღების პრობლემა, გაფართოვდეს სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანამშრომლობის სფეროები.

საბჭოთა მთავრობის ღრმა რწმენით გაერთიანებული ერების ორგანიზაციას შეუძლია შეიტანოს და კიდეც უნდა შეიტანოს თავისი წვლილი იმის უზრუნველყოფაში, რომ ძალა ან ძალის მუქარა არ გამოიყენონ სახელმწიფოებმა ტერიტორიული და სასაზღვრო დავის მოწესრიგების დროს, რომ ეს დავა გადაიჭრას მშვიდობიანი და მხოლოდ მშვიდობიანი საშუალებებით.

ა. ა. გრომიკო სთხოვს გენერალურ მდივანს ახლანდელი წერილი განიხილოს როგორც განმარტებითი ბარათი, გათვალისწინებული გენერალური ასამბლეის პროცედურის წესების მე-20 წესით და გავრცელოს იგი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოფიციალურ დოკუმენტად.

ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲐ ᲚᲘᲒᲐᲜᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲒᲐ

ᲑᲔᲘᲠᲣᲗᲘ, 24 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ თანამდებობა დაიკავა ლიბანის ახალმა პრეზიდენტმა შარლ ჰელუმ. გუშინვე ლიბანის კონსტიტუციის შესაბამისად ჰუსეინ უეინის მთავრობა, რომელიც წინა პრეზიდენტის დროს შეიქმნა, გადადგა. პრეზიდენტმა მიიღო მთავრობის გადადგომა, მაგრამ სთხოვა მინისტრებს შეასრულონ თავიანთი მოვალეობა ახალი მთავრობის შექმნამდე.

ვარაუდობენ, რომ ახალი მთავრობის შემადგენლობა უახლოეს დღეებში გამოცხადდება.

ᲓᲔᲛᲐ�გᲝᲒᲘᲐ ᲓᲐᲚᲐᲡᲨᲘ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 24 სექტემბერი. საკდესის კორესპონდენტი **ვ. პეტრუსენკო** იუწყება: „ძნდა მშვიდობაზე ვილაპარაკო. არც ერთ დადაიას ისე არ უნდა თავიდან აიცილოს ომი, როგორც მე". ვინ თქვა ეს სიტყვები? რომელიმე პაციფისტმა? არა! ამ სიტყვებით დაიწყო თავისი გამოსვლა ამეიკის ლეგიონის (სამხედრო რეაქციული ორგანიზაცია. — რედ. შენიშვნ.) ეროვნული ყრილობის მონაწილეთა წინაშე დალასში სენატორმა ბარი გოლდუოტერმა. მაშ რით ავხსნათ, რომ პრეზიდენტობის რესპუბლიკელმა კანდიდატმა მილიტარისტული მოწოდებანი შეაცალა განცხადებებით, რომ „ეს წარმოფენის" მშვიდობას. სენატორის თანამებლები — გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის" მიმომხილველი კეროლ ჰილპატრიკი აღნიშნავს: „გოლდუოტერი დარწმუნებულია, — იმან, რომ ქარაფშუტობას ამბობენ, როცა საქმე ეხება „სასხლეტ კაუს" (ესე იგი ატომური ბომბის გამოყენებას. — რედ. შენიშვნ.), მეტი ზიანი მოაყენა, ვიდრე სხვა რამემ და რომ ეს ნომერ 1 ბარიერია, რომელიც მან უნდა დასძლიოს, რათა გიმარჯვოს 3 ნოემბრის არჩევნებ-

ᲩᲐᲛᲝᲠᲗᲛᲔᲣᲚᲘᲐ ᲝᲥᲠᲝᲡ 8 ᲖᲝᲓᲘ

ᲘᲔᲠᲣᲡᲐᲚᲘᲛᲘ. 17 გირვანქაზე მეტი წონის და დაახლოებით 3.300 გირვანქა სტერლინგის ღირებულების ოქროს 8 ზოდი ჩამოართვეს იორდანიის უშიშროების ორგანოებმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაზავების მეთვალყურეს.

ᲠᲐᲖᲔ ᲬᲔᲠᲓᲐ ᲒᲣᲨᲘᲜ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲐ

ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ დღევანდელი გაზეთების საგარეოპოლიტიკური ინფორმაციის ერთ-ერთი ძირითადი თემაა ის, რომ დამთავრდა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ალი საბრის ვიზიტი საბჭოთა კავშირში. პრესაში მოყვანილია შინაარსი საბჭოთა კავშირ-არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ერთობლივი კომუნიკესი და ნ. ს. ხრუშჩოვის და ალი საბრის სიტყვებისა ენუკოძის აეროდრომზე. იბეჭდისს „დეილი ტელეგრაფი" და „გარდიანი" განსაკუთრებით ხაზს უსვამენ კომუნიკეს იმ ნაწილს, სადაც ჩამოყალიბებულია საბჭოთა კავშირისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პოზიცია კვიპროსის მიმართ.

გაზეთები იუწყებიან, რომ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ წერილი გაუგზავნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს უ ტანს, რომელშიც სთხოვს გენერალური ასამბლეის მომავალი XIX სესიის დღის წესრიგში ცალკე დიდმნიშვნელოვან საკითხად შეიტანოს პუნქტი რომ „სახელმწიფოები არ გამოიყენებენ ძალას ტერიტორიული დავისა და საზღვრების საკითხების გადასაჭრელად".

პრესა იუწყება, რომ გუშინ ბერლინში დაკრძალეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოჩენილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე ოტო გროტეეოლი.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ გაზეთები ბევრ ადგილს უთმობენ ინფორმაციას წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობის შესახებ. მოჰყავთ შინაარსი გოლდუოტერის გამოსვლისა ამერიკის ლეგიონის ყრილობაზე. უ. ლიმმანი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნში" ხაზს უსვამს, რომ არიზონელი სენატორი ცხოვრობს ილუზიათა ირარსებულ სამყაროში, რომლის პრობლემები არ შეიძლება ულტიმატუმების საშუალებით გადაიჭრას".

„ნიუ-იორკ ტაიმსი" ვაშინგტონიდან მიღებულ კორესპონდენციაში პირველ გვერდზე წერს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ უარი თქვა მიიღოს აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის დელეგაცია, რომელსაც უნდა ეთხოვა, რომ ამერიკის შეერთებულ

„კომუნისტის“ ინტერვიუ

ამბავი სულით ძლიერი ჯაცისა

ივ ჩამპი ფრანგი რეჟისორია, კეიკო კიში — იაპონელი მსახიობი. ისინი პირველად 1957 წელს შეხვდნენ ერთმანეთს იაპონიაში და ახლა ცოლქმარი არიან. გუშინ ივი და კეიკო თბილისს ეწვივნენ და საღამოთი რუსთაველის სახელობის კინოთეატრში თავიანთი საკვეყნოდ ცნობილი ფილმის თბილისური პრემიერას დაესწრნენ.

„ვინა ხართ თქვენ, დოქტორო ზორგე?“ ასე ჰქვია ივ ჩამპის ფილმს, სადაც კეიკო იაპონელ ბარონესას — იუკი საკაუარას ასახიერებს.

ვინაიდან მკითხველისათვის საინტერესოა, თუ ვინ არიან თვითონ ივ ჩამპი და კეიკო კიში, ამიტომ ჩვენი კორესპონდენტის პირველი კითხვაც სწორედ ასეთი იყო: **„ვინა ხართ თქვენ, ივ ჩამპი და კეიკო კიში?“.**

... ფრანგი კინორეჟისორის ივ ჩამპის ბედი ჰგავს თვითონ რიჰარდ ზორგეს ბედს. ივი წარმოშობით იტალიელია. მამამისი მარსელ სიამპი (ფრანგები ასე წარმოთქვამენ იტალიურ გვარს ჩამპის) ცნობილი პიანისტი იყო, დედა — მეკეოლინე. ივმა სამედიცინო განათლება მიიღო და ცოტა ხანს ექიმად მუშაობდა. მერე მსოფლიო ომის დროს, როცა გერმანელები პარიზსაც შეესივნენ, ივ ჩამპი ფრანგული წინააღმდეგობის მბრძოლი გახდა. მალე ესპანეთში გაიქცა. იქ ფრანკოს ციხეში ამოყოფინა თავი, შემდეგ კი ექესი თვე საკონცენტრაციო ბანაკში გაატარა. ივსაც რიჰარდივით ცოლი იაპონელი ჰყავს.

კეიკო კიში ახალგაზრდაა, მაგრამ უკვე სამოცდაათ ფილმში აქვს მონაწილეობა მიღებული. მაგრამ „ვინა ხართ თქვენ, დოქტორო ზორგე?“ პირველი ფილმია, რომელსაც კეიკოს მონაწილეობით ვნახავთ. თუმცა ის არა მარტო ბარონესაა ამ ფილმში, არამედ ამ გმირული დოკუმენტური სურათის შექმნის ერთ-ერთი მოთავეც არის.

— ერთი სიტყვით, „ყველაფერი კეიკოსაგან დაიწყო, — ამბობს ივ ჩამპი. — ექვსი წლის წინათ იგი სამშობლოში, იაპონიაში იყო და იქიდან გამოგზავნილ ერთ-ერთ ბარათში მწერდა ტოკიოში, სუგამოს ციხეში ჩამოხრჩობილი საბჭოთა მზვერავის — რიჰარდ ზორგეს ამბავს.

ფაშიზმისა და მილიტარიზმის წინააღმდეგ ბრძოლას ყოველთვის ჩემს სისხლხორცეულ საქმედ ვთვლიდი და ზორგეს ამბავმა, თუ შეიძლება ითქვას, ძველი საღერღელი ამიშალა. მალე მივაკვლიე, რომ ზორგეზე წერდნენ თურმე გერმანელი ჰანს ოტო მაისნერი და იაპონელი ოძაკი. იაპონელი

მოგვითხრობენ ივ ჩამპი და კეიკო კიში

ცოცხალი ალარ იყო. მაისნერი კი ამუამადაც მიუხეხნში ცხოვრობს. იგი კარგად იცნობდა რიჰარდ ზორგეს. იმ ხანად ტოკიოში გერმანიის საელჩოს საოქმო განყოფილების გამგედ მუშაობდა. მაისნერმა იაპონიაში გერმანიის ყოფილი ელჩის ოტის ადგილსამყოფელი მიმასწავლა, მაგრამ ოტს ამაოდ მივუკაკუნე. ზორგეს გვარი გაიგო თუ არა, კარი მომიხურა.

მალე იაპონიაში წავედი და ფილმისათვის საჭირო ძირითადი მასალა თითქმის მთლიანად იქ შეკრიბე. ფილმი დოკუმენტურია. მაგრამ მე დოკუმენტურობა ძალიან ფართოდ მესმის. ჩემი მიზანი იყო შემენარჩუნებინა **მთავარი სიმართლე** და არ ჩავბღაუბებოდი წვრილმან სინამდვილეს. თუმცა სიუჟეტს საფუძვლად მაინც რეალური ამბები უდევს. ზორგეს ყოველ მამაცურ ნაბიჯს იმ საბუთებით ვამოწმებდი, რომლებიც კი ხელთ მქონდა.

არანაკლებ ძნელი გამოდგა რიჰარდის ორეულის პოვნა. ზორგეს სურათი გაზეთშიც გამოვაქვეყნე და მალე უამრავი წინადადებაც მივიღე, მაგრამ „ის ზორგე“ მაინც არა ჩანდა.

თომას ჰოლცმანს დასავლეთ ბერლინში, შილერის თეატრში მივაგენი. იმ სალამოს, როცა თეატრში მივედი, ჰოლცმანი კალდერონის დრამაში „ცხოვრება სიზმარია“ ასრულებდა ერთ-ერთ მთავარ როლს. „თომას, ცხოვრება მარტო სიზმარი როდია“, — ვეუთხარი ჰოლცმანს. და ისიც, რომელსაც არასოდეს არც ერთ ფილმში არ მიეღო მონაწილეობა, თითქოს მაშინვე მიმიხვდა, რის თქმაც მინდოდა. მალე ორივენი შევთანხმდით, რომ ცხოვრება გმირობაა, მორალების წინააღმდეგ ბრძოლაა, რომ მართალი, დიდი საქმისათვის თავდადებაა, და ჰოლცმანი ამ დიდი და მართალი საქმისათვის მებრძოლ რიჰარდ ზორგედ იქცა. აღსანიშნავია, რომ ჰოლცმანმა ფრანგული ენა არ იცის, მაგრამ იმდენად გაიტაცა რიჰარდის სახემ, რომ მთელი ფრანგული ტექსტი ზეპირად ისწავლა.

ჰოლცმანს გარდა ფილმში მონაწილეობენ ავრეთვე ფრანგი და იაპონელი მსახიობები, ხოლო ჰანს ოტო მაისნერი, გერმანიის საელჩოს საოქმო განყოფილების ყოფილი გამგე, თავის თავს თვითონ განასახიერებს. სურათი გადაიღეს იაპონელმა ოპერატორმა უბუკატამ და ფრანგმა ვალერბიუმ.

„ვინა ხართ თქვენ, დოქტორო ზორგე?“ პირველად პარიზელმა მაყურებელმა ნახა ჯერ კიდევ **1961** წელს. ჩემთვის დიდად სასიამოვნოა, რომ მოსკოვის შემდეგ „ზორგეს“ პრემიერას თბილისშიც ვესწრები. ხალხს უყვარს თავისი გმირები, სულით ძლიერი ადამიანები და ჩვენი ფილმის წარმატებასაც, უწინარეს ყოვლისა, ამ ამბით ვხსნი.

დასავლეთის ეურნალ-გაზეთები „ზორგეს საქმეს“ უწოდებენ ისტორიაში გაუგონარ ამბავს, ზოგნი კი ცდილობენ ჩირქი მოსცხონ გმირის სახელს. ჩემი ერთ-ერთი მიზანი ისიც იყო, რომ ცხოვრების ნამდვილი, შეურყვნელი სურათი შეჩვენებინა ამ ადამიანებისათვის. ზორგე გმირი იყო, მაგრამ იგი მარტო არ ყოფილა თავის ანტიფაშისტურ და კეთილშობილურ ბრძოლაში. იგი გერმანელ, ფრანგ და იაპონელ ანტიფაშისტებთან ერთად იბრძოდა.

... საუბარი თბილისის აეროპორტში კარგახანს გაგრძელდა. ივ ჩამპიმ ჩვენს კორესპონდენტს უბის წიგნაკი გამოართვა და ჩაწერა:

Un salut très cordial aux Géorgiens! Avec toute notre amitié –

Yves Ciampi

Kiko Kishi

24 September 1964

„სულით და გულით მივესალმებით ქართველებს. ფრფელი მეგობროობით“.

„კომუნისტის“ მკითხველებისადმი ამ პატარა ბართის ივ. ჩამპისთან ერთად კეიკო კიშემაც მოაწერა ხელი და ღიმილით თქვა: **„ძალიან მიხარია, რომ თბილისში ვართ მეც, ივიც და ზორგეც“.**

თავის მხრივ თბილისისთვისაც სასიხარულოა ეს შეხვედრა.

* * *

სურათებზე: — **თომას — კეიკო კიში და ივ ჩამპი თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე** (ფოტო ვლ. გინზბურგისა); **ქვემოთ — კადრი კინოსურათიდან „ვინა ხართ თქვენ, დოქტორო ზორგე?“.**

ახალი ამბები • ცნობები

ქართველი მეცნიერები ჰისტოქიმიკოსთა კონგრესზე

ამას წინათ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ მაინის ფრანკფურტში გაიმართა ჰისტოქიმიკოსთა II საერთაშორისო კონგრესი.

კონგრესის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 700-ზე მეტმა დელეგატმა 30 ქვეყნიდან. საბჭოთა დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფ. **ვ. პორტუგალოვი,** წარმოდგენილი იყო 15 სპეციალისტით. საქართველოდან კონგრესის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ჰისტოქიმიკოსთა საიონალური კომიტეტისა და ჰისტოქიმიკოსთა II საერთაშორისო კონგრესის მოსამზადებელი საბჭოთა საორგანიზაციო კომიტეტის წევრმა პროფესორმა **ლ. შარაშიძემ** და მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა **მ. გედევანიშვილმა.** პირველმა კონგრესს მოახსენა **ცენტრალური ნერვული სისტემის ნეირონებში უანგვა-აღდგენითი ფერმენტების ჰისტოქიმიური ცვლილებების შესახებ ორგანიზმის სხვადასხვა ფუნქციური და პათოლოგიური მდგომარეობის დროს,** ხოლო მეორემ — **ლორწოს მუკოპოლისაბარიდულ შემადგენლობის შესახებ.**

საბჭოთა მეცნიერებისა და მათ შორის ქართველი მეცნიერების მოხსენებებმა კონგრესის მონაწილეთა მაღალი შეფასება დაიმსახურა.

ჰისტოქიმიკოსთა მომავალი III საერთაშორისო კონგრესი გაიმართება 1968 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში.

მ ო კ ლ ე დ

△ **ამ დღეებში** ქ. ცხინვალში ენგელსის ქუჩაზე გაიხსნა ახალი ყავეჯ „დილა“, სადაც ყველაფერია გათვალისწინებული კლიენტთა კულტურული მომსახურებისათვის.

ე. კულუბგეგოვა.

△ **გორი.** სოფელ კეხიჯვარში გაიხსნა საფოსტო განყოფილება. ეს მესამე ახალი საფოსტო განყოფილებაა, რომელიც წელს გახსნა ქავშირგაბმულობის გორის კანტორამ.

ახალი საფოსტო განყოფილებები გახსნილია ავრეთვე სოფელ დირბში, ბამბეულის კომბინატში.

ლ. ქვრივიშვილი.

△ **თელავი.** (საკ. კორ.). ქალაქ თელავის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში გაიხსნა ახალი აფთიაქი, რომელსაც აქვს მზა წამლებისა და ოტეკიური განყოფილებები. აფთიაქი აღჭურვილია უახლესი ტექნიკით.

საინტერესო სიახლენი

აი სასწორიც ამას ჰქვია

ესტონეთში დამთავრდა ეგრეთწოდებული გამა-კონვეიერული სასწორების გამოცდა. ზომით ისინი ჩვეულებრივი ყუთის ოდენაა, მაგრამ მათი საშუალებით წონიან ათასობით ტონა ქვანახშირს, ფიქალს, ღორღს, სილას და სხვა ფხვიერ მძიმე მასალებს. ამ რიგი ოპერაციას იოლად ასრულებს რადიაქტიური სხივი. გამა-კონვეიერული სასწორი ტალინის ბაზმა-საკონტროლო ხელსაწყოთა საცდელი ქარხნის ახალი რადიოიზოტოპური ხელსაწყოა.

ჯავლი ჭრის გეზონს

შეიძლება თუ არა წყლით ბეტონის გაჭრა? თურმე შეიძლება. კალიფორნიაში ერთმა ამერიკულმა ფირმამ ააგო სპეციალური წყალსაწნეები „სანთურა“, რომელსაც შეუძლია გაჭრას 6 დიუმი სისქის ბეტონი ან ნახევარდიუმიანი უჟანგავი ფოლადი.

„სანთურა“ ძირითადად შედგება ტუმბოსაგან, რომელსაც შეუძლია წყლის ჯავლის მიწოდება კვადრატულ დიუიმზე 20.000 გირვანქის წნევით.

საშინაო მერხი მოსწავლეთათვის

დონეცკის სახალხო მეურნეობის საბჭოს ერთ-ერთ საწარმოში შეუდგენენ დაბალი კლასების მოსწავლეთათვის გასაშლელ-დასაკეცი საშინაო მერხის გამოშვებას. იგი შედგება სკამისა და მაგიდისაგან, რომლებიც დაკეცვისას ერთ ერთეულს შედგენენ. მაგიდის ზედაპირი და სკამის საჯდომი ფანერისაა, საზოგრგე მოქსოვილია ქლორავინილის აფსკისაგან.

მაგიდის სიმაღლეა **600** მილიმეტრი, ზედაპირის ფართობი **650×430** მილიმეტრი, სკამის სიგანე **390** მილიმეტრი, სიღრმე — **215** მილიმეტრი. საშინაო მერხი შედგებილია ნიტროემალის საღებავით.

ჩემპიონატები • ტურნირები • მატჩები

გრძოლა მწვავდება

სოხუმი. 24 სექტემბერი. (ტელეფონით სპეც. კორ.). დღეს აქ შედგა მე-12 ტური. ყურადღების ცენტრში იყო ლიდერების მ. ლაზარევიჩის, ტ. ზატულოვსკაიას, ა. კუშნირის, კ. ერეტოვასა და კ. იოვანოვიჩის პარტიები. ყველაზე ადრე დამთავრდა ლ. ლეონ-ზატულოვსკაიას შეხვედრა, შუა თამაშში ამერიკელმა მატერიალური დანაკლისი განიცადა და 28-ე სვლაზე შეწყვიტა წინააღმდეგობა. 8 სვლით მეტი გაგრძელდა ტ. ცენდ-ა.

ნაკრების მამეზავრება

გუდაუთა. გაემგზავრა სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრები ფეხბურთში, რომელიც ამხანაგურ მატჩში 26 სექტემბერს შეხვდება უნგრეთის ახალგაზრდა ფეხბურთელებს.

ჩვენი გუნდის შემადგენლობაში შეყვანილი არიან: **ვ. შეხოვი** („ნეფტიანიკი“), **ლ. კუდასოვი** (სარატოვის „სოკოლი“), **ა. კოვალენკო** („აარარატ“), **ნ. ანტონოვიჩი** (ცსკა), **ვ. ეიტკუსი** („ჟალგირისი“), **ვ. ივანოვი** (მოსკოვის „დინამო“), **გ. სიპინავა** (თბილისის „დინამო“), **ს. კუტეკვაძე** (ქუთაისის „ტორპედო“), **ვ. ბრუხტი** („ნეფტიანიკი“), **ა. ესკოვი** (სკა), **ვ. ხმელნიცკი** („შახტიორი“), **ი. ბასალიკი, კ. კასიმოვსკი, ვ. პოლიკარპოვი** და **ვ. ფედოტოვი** (ყველანი ცსკა-დან). გუნდის მწვრთნელია სპორტის დამსახურებული ოსტატი ვს. სოკოლოვი.



პირველი გამარჯვება

მოსკოვი. 24 სექტემბერი. (ტელეფონით სპეც. კორ.). დღეს აქ დაიწყო ხელბურთში სსრ კავშირის მესამე ჩემპიონატის დასკვნითი ტური. თბილისის „ბურევესტნიკის“ ხელბურთელები შეხვდნენ კიეველ თანაკლუბელებს. თბილისელთა სასტარტო ხუთეულში იყვნენ: აბაიშვილი, ცერცვაძე, ანთაძე, ფხაკაძე, ექსეულიძე, კარტოზია, მაჭავარიანი. თამაშის დაწყებიდანვე ქართველმა ხელბურთელებმა ანგარიში წაიყვანეს. ექსეულიძემ (ორი), კარტოზიამ (სამი) და ცერცვაძემ (ორი) შვიდი ბურთი გაიტანეს, რაზეც უკრაინელებმა ერთი ბურთით უპასუხეს.

ფაქტიურად თამაშის ბედი პირველ ტაიმში გადაწყდა — 18:7. მატჩის საბოლოო ანგარიშია 28:15 თბილისელთა სასარგებლოდ. ყველაზე შედეგიანი მათ შორის ფხაკაძე იყო (7 ბურთი). ერთი გოლის ავტორი კი მეკარე ამაშვილი გახდა.

დანარჩენი მატჩების შედეგები ასეთია: „ბურევესტნიკი“ (ტაშკენტი) — „ტრუდი“ (ლენინგრადი) — 14:11, „ბურევესტნიკი“ (მინსკი)-სკა (ტარასპოლი) — 15:19, „ალუმინსტროი“ (ზაპოროჟიე)-დინამო“ (ბაქო) — 13:12, „ატლეტასი“ (კაუნასი)-მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი — 17:18.

ნ. ფოფხაძე.



მუნჯი მოწმეები

△ **დანაშაული თუ უბედური შემთხვევა?** △ **კრიმინალისტიკა ზუსტ პასუხებს იძლევა.**

□

ᲖᲐᲢᲐᲠᲐ ქალაქი ვოლგაზე. მილიციის ადგილობრივ განყოფილებამდე მიაღწია გათოშილმა ადამიანმა და აბნეულად უამბო, რომ უბედურება მოხდა: შემთხვევითს თანამგზავრ ქალს, რომელიც მას თავისი ნავით ვოლგაზე გადაჰყავდა, ფეხი დაუსხლტა, წყალში ჩავარდა და დაიხრჩო. სიბნელეს და შემოდგომის პირველი ყინულების გამო შეუძლებელი გახდა მისი გადარჩენა. მომხდარი ამბის ერთადერთი მნახველი თვითონ ამბის მომტანი იყო. დაღუპულის სახელი და გვარი გაურკვეველი დარჩა.

უბედური შემთხვევაა თუ დანაშაული? ნავის დათვალიერებამ ვერაფერი ვერ გაარკვია. გამომძიებლის მაგიდაზე აღმოჩნდა მხოლოდ ხის პატარა ხაჭერი ზედ შემხმარი სისხლის ლაქებით. ხელი გავიჭერით, განმარტა მეზავემ. გაჭრილი ხელი ადასტურებდა მის ჩვენებას. „უბედური შემთხვევის“ ვერსია სარწმუნო ჩანდა.

ერთი დღის შემდეგ განცხადება შეიტანა ადგილობრივმა მცხოვრებმა ი. რ-მ: ცოტა ხნით სტუმრად წასული ქალიშვილი დამეკარგაო. გამომძიებელს დაეტყობა აზრი, რომ დამხრჩვალი ქალი და ი. რ-ს ქალიშვილი ერთი და იგივე პიროვნება იყო.

ოთხი თვის შემდეგ, როცა ვოლგა ყინულისაგან განთავისუფლდა, ნაპირზე აღმოაჩინეს უცნობი ქალის გვამი, დამხრჩვალს სახე დამახინჯებული ჰქონდა. მეორე ვერსიას, რომ „ნავს პატრონი დამხმარეა“, სერიოზული საფუძველი მიეცა: სისხლის ლაქები და დარტყმებით დასახიჩრებული სახე წინასწარ განზრახვით მკვლელობას უფრო მოწმობდა, ვიდრე უბედურ შემთხვევას. მაგრამ მსჯელობათა ჯაჭვს ერთი გოლი აკლდა: შეუძლებელი იყო დამხრჩვალის პიროვნების დადგენა.

სწორედ მაშინ ვოლგისპირა პატარა ქალაქში გამოჩნდნენ მოსკოვიდან ჩამოსული მილიციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ექსპერტები. ექსპერტებმა დაიწყო ი. რ-ს დაკარგული ქალიშვილის ოთახში. დამუშავება იმ ნივთებისა, რომლებითაც იგი სარგებლობდა, — ტანსაცმლისა, ფეხსაცმლისა, რეეულებისა, წიგნებისა, უბის წიგნაკებისა — წარმოებდა საფრქვევით, რომელიც მტვრასსრუტს უფრო ჰგავდა, ვიდრე კრიმინალისტის იარაღს. გაფრქვეული პრეპარატის ჰაერის ქვეშ საგნებს თითების ნაკვალევი აჩნდებოდა. ექსპერტები მათ ადარებდნენ იმ ადამიანთა თითების ნაკვალევს, რომლებიც შეიძიოდნენ ან შეეძლოთ შესულიყვნენ დაკარგული ქალიშვილის ოთახში. გულდასმითმა ანალიზმა შესაძლებელი გახადა ერთნაირ ნახეზიანი ათამდე „არავისი“ ნაკვალევის გამოყოფა.

ისინი შეიძლებოდა ი. რ-ს ქალიშვილისა / ყოფილიყო.

საჭირო იყო კიდევ დაღუპულის თითების ანაბეჭდების მიღება. მაგრამ დამწყები კრიმინალისტებისათვის საც კი ცნობილია, რომ წყალში ორი კვირის ყოფნის შემდეგ ქრება კანი დამხრჩვალის ხელებზე. ერთი წლის წინათ ასეთი მდგომარეობა ექსპერტებს გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენებდა. ახლა კი ინსტიტუტში შემუშავებული და არაერთგზის შემოწმებული წესის მეოხებით ექსპერტებმა აიღეს დამხრჩვალის თითების ანაბეჭდები. მათი ხაზები დაემთხვა ი. რ-ს ქალიშვილის ოთახში აღმოჩენილ „არავის“ ნაკვალევთა ხაზებს.

სარწმუნო ხდებოდა ვერსია, რომ „ნავის პატრონი მკვლელია“. მაგრამ ბევრი რამ გაურკვეველი რჩებოდა. იურისტთა დაუწერელი წესით კი ყოველივე საეჭვო „განმარტებულ უნდა იქნას ბრალდებულის თუ ეჭვმიტანილის სასარგებლოდ“.

ექსპერტები მუშაობას განაგრძობდნენ. მათ ანალიზი გაუკეთეს ნავში ნაპოვნ პატარა ფიცარზე დაცხებულ სისხლის ლაქებს. თუ ეს სისხლი ქალისა აღმოჩნდებოდა, ნავის პატრონი მხილებული იქნებოდა — იგი ხომ კატეგორიულად ამტკიცებდა, იმ ტრაგიკულ დღეს ხელი გაგიჭერიო. წესი, რომელიც შესაძლებელს ხდის ადამიანის სქესის გამორკვევას ახალი სისხლის მიხედვით, დიდიხანია ცნობილია. ასეთი ანალიზი ეფუძნება ფაქტს, რომ ადამიანის სისხლში ერითროციტებია, ანუ ბირთვებგაცლილი სხეულაკები, ბირთვებიანი ერითროციტებია, ანუ ბირთვიანი სხეულაკები. ბირთვიანი ერითროციტები ფრინველებსა, ძუძუმწოვრებსა და ადამიანებს ერითროციტებისგან ბირთვებით განსხვავდებიან. ბირთვიანი ერითროციტები ადამიანებში ბოლო ოცი წლის განმავლობაში აღმოჩენილ იქნა. ამ ფაქტს ინსტიტუტის თანამშრომლებმა მიაგნეს საშუალებას, რომელიც აღადგენს დვრილების სიცოცხლისდროინდელ მდგომარეობას. სწორედ ეს უნიკალური მეთოდი გამოიყენეს ვოლგის საქმის გამოძიებისას.

ქიმიური მახეები. უკანასკნელ ხანს ინსტიტუტმა შემუშავა ნივთიერებანი, რომლებიც დაღს ასვამენ დამნაშავეს. ძვირფას სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ ქონებას განსაკუთრებული შემადგენლობით ფარავენ. დამნაშავეს, რომელმაც ხელყო ფასეულობანი, ტანისამოსზე, სახეზე ან ხელებზე მკაფიო ფერადი ლაქების მიხედვით ასლა არა მარტო მილიციის მუშაკები გამოიცნობენ, არამედ მოსახლეობაც.

როგორ წავიკითხოთ ათიეულ წლობით ხანდაზმულობის ნახევრადგაცრეცილი წარწერები? ასეთი კითხვით ხშირად მიმართავენ კრიმინალისტებს ისტორიკოსები. ქიმიურ საღებავიან ფოტოფირებს გამოსაკვლევ დოკუმენტზე დებენ. მელნის ან ტუშის მოლეკულები, რომლებიც გახრწნილ ქაღალდზეც კი რჩება, ამ საღებავით ძლიერდება და კვალს იძლევა. ფოტოფირიდან პოზიტივებს ბეჭდავენ — და თითქოს სამუდამოდ დაკარგული სტრიქონები ხილული ხდება. ამ გზით წაკითხულ იქნა წერილები, რომლებსაც მრავალი წელი დაეყოთ მიწაში, დაზიანებული ისტორიული დოკუმენტები, ძველი ხელნაწერები.

ყოველი კვალის ანალიზი ტვიფარა — ავტომობილის თვალთა დატოვებული ღრმულიდან მიკროსკოპულ ნაკაწვრამდე — **შეიძლება მივიღოთ ახალი საძერწი მასის — „სკტ“-ის საშუალებით.** გამოსაკვლევ საგნის ორი პატარა ტუბიდან დაასხამენ სხვადასხვა ფერის სითხეს. სითხეები ერთმანეთში რომ აირევა, რამდენიმე წუთში მაგრდება. გამომძიებელი იღებს დატოვებული კვალის სინთეზურ ანალიზს. „სკტ“ შესაძლებლობას იძლევა შეეისწავლოთ ბეღლის სპირალური სვლა, ყოველი იარაღის ლული, ფეხების ანაბეჭდები. ავტომობილის ავარიის კვალი. იმ ტემპერატურის დიაპაზონი, რომელზეც ახალი მასა მუშაობს, მეტად ფართოა: 20 გრადუსი ყინვიდან ყოველგვარ სიცხემდე.

ახლა ადვილია დოკუმენტებზე სულ შეუმჩნეველ შესწორებათა აღმოჩენა. უხილავი ქიმიური ბადე, რომელიც პასპორტებს, მოწმობებს, ფულის უწყისებს დაედება, იცავს მათ გაყალბებისაგან. ამომჭრელი ნივთიერება, რა სუსტიც უნდა იყოს, რეაქციას იწვევს — ქაღალდი, რომელსაც გადაკეთებას უპირებენ, შეიიღება, და დანაშაული დასაწყისშივე იქნება შეჩერებული.

ვლ. დრუიანოვი.



მეცნიერთა ფორუმი

ᲤᲘᲖᲘᲙᲘᲡᲐ და გამოყენებითი მათემატიკის დიდმნიშვნელოვანი დარგის — ელექტრული, აკუსტიკური და სხვა ტალღების დიფრაქციის თეორიის აქტუალურ პრობლემებს მიეძღვნა III სრულიად საკავშირო სიმპოზიუმი ტალღების დიფრაქციის საკითხებზე, რომელიც 24 სექტემბერს გაიხსნა თბილისში.

მეცნიერთა ფორუმი შეესალო სიტყვით გახსნა საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ვ. დ. კუპრაძეს.

სიმპოზიუმის მონაწილეებს გულთბილად მიესალმა და წარმატებანი უსურვა მუშაობაში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ნ. ი. მუსხელიშვილმა. შეგრეხილთ მისასალმებელი სიტყვით მიმართა აგრეთვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ე. კ. ხარაძემ.

პირველ პლენარულ სხდომაზე დიდი ყურადღებით მოისმინეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ლ. ნ. სრეტენსკის მოხსენება თემაზე „პუანკარეს მეთოდები რადიოტალღების დიფრაქციის თეორიაში“. შემდეგ შინაარსიანი მოხსენება — „პარამეტრისაგან ანალიზური დამოკიდებულება და დიფრაქციის სტაციოხალური ამოცანები“ წაიკითხა პროფესორმა გ. დ. მალუჟინეცმა.

ფორუმი მუშაობას განაგრძობს.

(საქდესი).

ᲡᲐᲐᲓᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲔᲜᲐᲖᲔ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოსცა დიდი ირანელი პოეტის და მოაზროვნის საადის ნაწარმოები „ბუსთანი“. თარგმანი ქართულ ენაზე განახორციელა პროფესორმა დ. კობიძემ.

საადის ნაწარმოებები ქართულ ენაზე ითარგმნა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. ცნობილმა მთარგმნელმა ა. ჭელიძემ თარგმნა საადის იგავებისა და ნოველების კრებული „გოლესთანი“ (რომელიც გამოიცა **1948** წელს) და რამდენიმე ნაწყვეტი „ბუსთანიდან“.

პოემის ახალი თარგმანი სრულია. მას საფუძვლად დაედო სპარსული ტექსტი, რომელიც მომამედ ალი ფოროუღმ გამოსცა თეირანში **1937** წელს. (საქდესი).

Ჯ. ნ. ᲭᲣᲛᲑᲣᲠᲘᲫᲔ— ᲤᲘᲚᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის დოცენტმა ჯუმბერ ხიკოლოზის-ძე ჭუმბურიძემ უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ავერთიანებული სამეცნიერო სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: **„ქართული კრიტიკის ისტორია** (XIX საუკუნის 70-იან წლებამდე)“.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა სატესტაციო კომისიამ **დაამტკიცა** ჯ. ჭუმბურიძისათვის ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მიკუთვნება.

ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲛᲔᲖᲘᲐᲠᲔᲑᲐ

ᲑᲣᲓᲐᲞᲔᲨᲗᲘ. 24 სექტემბერი. (ტელეფონით სპეც. კორ.). დღეს აქ **ᲨᲔᲓᲒᲐ** მე-12 ტური. ყურადღების ცენტრში იყო ლიდერების მ. ლაზარევიჩის, ტ. ზატულოვსკაიას, ა. კუშნირის, კ. ერეტოვასა და კ. იოვანოვიჩის პარტიები. ყველაზე ადრე დამთავრდა ლ. ლეონ-ზატულოვსკაიას შეხვედრა, შუა თამაშში ამერიკელმა მატერიალური დანაკლისი განიცადა და 28-ე სვლაზე შეწყვიტა წინააღმდეგობა. 8 სვლით მეტი გაგრძელდა ტ. ცენდ-ა.

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲘ

25 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ᲠᲐᲓᲘᲝ

26 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

06.35 — „ჩემი სამშობლოს სიმღერები“ — პროგრამაშია ქართული ხალხური სიმღერები, 07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 08.30 — გ. ვენიავსკი. ლეგენდა ვიოლინოსა და ორკესტრისათვის; ფ. ლისტი. მეორე კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის, 09.15 — ა. ბალანჩივაძე. რაფსოდია ფორტეპიანოსათვის, 11.15 — მუსიკალური რადიოკომპოზიცია „ბალადების დღე“, 12.10 — გადაცემა ციკლიდან — „შვიდწლედის გმირები“, 12.25 — ე. მირზოიანი. სიმფონია სიმებიანი ორკესტრისა და დაფდაფებისათვის, 13.40 — „ჩემი სამშობლოს სიმღერები“ — ბელორუსული სიმღერები, 17.35 — კონცერტი მოსწავლეთათვის, 18.10 — ნ. დუმბაძისა და დ. ცქიტიშვილის კონცერტი, 18.45 — „მღერის ლ. გოცირიძე“, 19.30 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის, 19.45 — რ. შტრაუსის რომანსები, 20.15 — ს. ციცაძე. ფანტაზია კაკუნინის პარტია. როცა საბჭოთა ოსტატს 4 ზედმეტი პაიკი აღმოაჩნდა, ცენდი დანებდა.

არ დამთავრებულა მ. ლაზარევიჩ-ე. ბიკოვასა და კ. იოვანოვიჩ-მ. რანიკუს პარტიები. თუ ლაზარევიჩს მოგების შანსები აქვს, იოვანოვიჩის მდგომარეობა მძიმეა. კ. ერეტოვამ უაიმით დაამთავრა შეხვედრა ე. კარაკაშიანთან. ასეთივე შედეგით დამთავრდა ა. ივანოვა - მ. თეოდორესკუს შეხვედრა. კ. ზვორიკინამ მოუგო ს. მოსჩინინს, ჰ. კონარკოვსკამ — ვ. ნედელკოვიჩს, გ. გრეფერ-ვ. ბორისენკოს შეხვედრა გადაიდო.

12 ტურის შემდეგ მ. ლაზარევიჩს 8 ქულა და სამი გადადებული პარტია აქვს, ა. კუშნირს 8 ქულა და ერთი გადადებული, კ. ერეტოვას 8 ქულა.

თ. გიორგაძე.

ᲓᲐᲕᲐ ᲐᲠ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲐ

ᲛᲘᲚᲐᲜᲝ, 24 სექტემბერი. (საკდესი). იტალიის ფეხბურთელთა გუნდმა „ინტერნაციონალემ“ ანგარიშით 2:0 მოუგო მეორე ფინალური მატჩი საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშებაში არგენტინის „ინდეპენდიენტეს“ კლუბს.

მაშ ასე, ერთი შეხვედრა მოიგო (1:0) „ინდეპენდიენტემ“, მეორე — „ინტერნაციონალემ“. თასისათვის ბრძოლას გუნდები განაგრძობენ 26 სექტემბერს მადრიდში.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ | თბილისი, ლენინის 14. **ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ:** 3-15-00-დან 09-მდე. რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03, 3-08-67, პ/მგ მდივნის — 9-72-80. სამდივნოსი — 3-46-10, განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61, პროპაგანდის — 3-22-89, მრეწველობის — 3-20-43, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმ